სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სიჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილების ... გამოგზავნილ ... ащ. 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ, მოლაპარაკება შეიძლება 10—13 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 234 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 234

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი

კოლა კრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქ. № 66). მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი 30 ოქტომბერს საღ. 5 საათ. (3—2)

შვილები: ანნა დავითის ასული ხატიაშვილისა და მარიამ დავითის ასული რევაზიშვილი, სიძე მიხეილ გიორგის ძე ხატიაშვილი, შვილიშვილები: ლუბა და შურა ხატიაშვილები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ვარვარე გრიგოლის ასული რევაზიშვილისა.

დასაფლავება დღეს, 31 ოქტომბერს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება: კამგეროვის ქ. № 49, დილის 9 საათ.

ღრმად დამწუხრებულნი მამა ბართლომე, დედა ... , მეუღლე ნილა, დეიდა ნინა, ძმები: რაჟდენ და ლეონიდე თავისი მეუღლეებითურთ, დები: მაშო, თამარი, ნინა, ლიკო, ქეთო და ვერა ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის ექიმ

რომან ბართლომეს ძე ხუციშვილის

სულის მოსახსენებლად დაკრძალვის მეშვიდე დღეს, ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, დანიშნულია ბოდბეს წმ. ნინოს მონასტ. წირვა და პანაშვიდი.

გულდაწყვეტილი მოხუცებული დედ-მამა მართა გრიგორის ასული და ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ფურცელაძე, ძმები: ვასილი, ალექსანდრე და ვლადიმერ ლუარსაბის ძე ფურცელაძენი, და—მარიამ ლუარსაბის ასული მისკინოვისა, სიძე ნიკოლოზ ისაევის ძე მისკინოვი და და—ნინო კიზირიასი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. გორში, 27 ოქტომბერს გარდაიცვალა

გრიგორი (გრიშა) ლუარსაბის ძე ფურცელაძე.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 31 ოქტომბერს, ქ. გორში. გასვენება დილის 10 საათზე მღვთისმშობლის ტაძარში.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

საბჭოს კანტორა გადმოტანილ იქნა ქუთაისიდან თფილისს

და მოთავსებულია გოლოვინის პრ. სახლი № 19, მესამე სართული.

## კავკასიის კონფერენცია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა მეზობელ სახელმწიფოებს—ადერბეიჯანს, სომხეთს და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირს—გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები კავკასიის კონფერენციაზე, რომელიც ათ ნოემბერს უნდა გაიხსნას.

ჩვენი მთავრობის წინადადება, თუ ის განხორციელდა, მოასწავებს პირველს მნიშვნელოვანს ნაბიჯს სამხედრო კავშირის შესაქმნელათ, რადგან უკეთუ აღნიშნული სახელმწიფოები პირობას დასდებენ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოს არ შეუთანხმდებიან და სადაო საქმეებს მორიგებით გადასწყვეტენ, თავის თავათ დაისმის საკითხი ურთი-ერთის დახმარებისა რომელიმე მესამე ძალის წინააღმდეგ. და თუ ასეთი სამხედრო კავშირი შეიკვრება და მისი მონაწილენი გულწრფელათ და პირნათლათ მოისურვებენ ნაკისრ მოვალეობის ასრულებას, სამხედრო კავშირს მოჰყვება ეკონომიური შეთანხმებაც.

ასეთია მომავლის პერსპექტივა, რომელიც ეყრდნობა ობიექტიურ პირობებს და არა ჩვენს ოცნება სურვილებს.

ჩვენი მთავრობა სამართლიანათ სვამს წინასწარ საკითხს ურთი-ერთის შორის დამოუკიდებლობის ცნობისა. მართლაც, სანამ ადერბეიჯანი არ გამოსთხოვებია ოსმალეთის ორიენტაციას და სანამ სომხეთი რუსეთისაკენ იცქირება და იქიდან მოელის შველას—იქნება ეს ბოლშევიკების თუ ალექსეევ-დენიკინის ლაშქრის სახით, რაიმე კავშირზე და შეთანხმებაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია: ჩვენ შეგვიძლია კავშირი შევკრათ არა იმ ადერბეიჯანთან, რომელიც ოსმალეთის პროვინციათ გახდომას ეტრფოდა, არა იმ სომხეთთან, რომელიც რუსეთთან შეერთებას ისახავდა მიზნათ და ამისთვის საშინელ ავანტიურასაც კი არ მოერიდა ქ. ბაქოში

იმ დროს, როცა სომხეთის წარმომადგენლები აქ, ჩვენში, ჩვენთან ერთად ისხდენ და ძმობას გვეფიცებოდენ. ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობის აღიარება ის ნიადაგია, რომელზედაც ჩვენი შეთანხმება უნდა იქნას აგებული.

ეჭვი არ არის, კავკასიის პატარა სახელმწიფოებს ურთმანეთოთ ცხოვრება და არსებობა გაუჭირდებათ და თუ მათ არ უკუაგდეს გაუტანლობა და ერთმანეთისადმი მტრობა, კავკასია მეორე ბალკანეთად გადაიქცევა. ამიტომ კავკასიის დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს, რომ ადგილობრივმა სახელმწიფოებმა ერთმანეთს ძმურათ ხელი მისცენ და გარეშე მტერს, იმ მესამე ძალას, რომელიც ჩვენი კუთხის დაპყრობას ან დასუსტებას განიზრახავს, საერთო ძალღონით გაუმკლავდენ.

და უკეთუ ეს საკითხი დადებითად გადიჭრება, უკეთუ საქართველოს დამოუკიდებლობა არა მარტო ფორმალურათ, არამედ ფაქტიურათაც იქნება უზრუნველყოფილი იმით, რომ სომხეთი და ადერბეიჯანი საბოლოოთ გამოეთხოვებიან რუსეთ ოსმალეთის ოპეკას, საზღვრების საკითხიც ადვილათ გადაიჭრება და ამ მხრით არავითარ დავას ადარ ექნება ადგილი. ჩვენ თუ ვერ გავყევით კოლონისტების ეტნოგრაფიულ მოსახლეობის პრინციპს და დავიჭირეთ ბორჩალოს და თფილისის მაზრები, ეს ჩავიდინეთ არა იმპერიალისტურ განზრახვებით, არამედ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობით. საზღვრების საკითხში ჩვენ დავთმობთ მხოლოდ მაშინ, როცა სრული გარანტია გვექნება იმის, რომ ამ მხრით ჩვენ საფრთხე არ მოგველის.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ერთობ სკეპტიკურათ ვუცქერით კონფერენციის მუშაობას. ჩვენ გადაჭრით და ხელადებით ვერ დავენდობით იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც დიდი ხნის პრაქტიკა აქვთ მიღებული საერთაშორისო რყევის და გამრომ გამოძრომის საქმეში. ჩ-

ვფიქრობთ, რომ საზღვრების საკითხის გადაჭრაც არ არის ისე ადვილი, როგორც ეს ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველს ჰგონია, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია არ დავიმყაროთ სახელმწიფოს არსებით ინტერესების თვალსაზრისს, ხოლო ჩვენი მეზობლები ეტნოგრაფიულ მოსახლეობას იმიზეზებენ, თუმცა კარგათ იციან, რომ ეს მოსახლეობა ხელოვნურათ არის შექმნილი რუსეთის ბიუროკრატიის მიერ ჩვენი სახელმწიფოებრივ ინტერესების წინააღმდეგ.

ამით ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ კონფერენციის შესაძლებლობას და, მით უფრო, მის საჭიროებას: არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა კავკასიის ხალხთა შორის შეთანხმება, როგორც ეს დღეს არის. მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრ ნიადაგზე, როცა საქართველო თავისი შინაური წყობილებით და საერთაშორისო მდგომარეობით გაძლიერდება და დაიჭერს იმ ალაგს, რომელიც მას ეკუთვნის.

მხოლოდ ასეთს კულტურულ სახელმწიფოებრივ ძალას გაუწევენ ჩვენი მეზობლები ჯეროვან ანგარიშს.

საქართველოს დემოკრატიის და მთავრობის ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

## ზავი ახლოვდება

გერმანიის დემოკრატიამ შესანიშნავი ისტორიული ნაბიჯი გადადგა, რომელიც დიდ როლს ითამაშებს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხში. მან არა თუ ხელთ იგდო სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავე გერმანიაში, არამედ—სათავეში ჩაუდგა ევროპაში ზავის ჩამოგდების საქმესაც. ვილსონის წინადადება და პირობები მან მიიღო.

გერმანიის დემოკრატიამ ამით დაამტკიცა, რომ იგი მართლა გულწრფელად მოწადინებულია ზავი ჩამოაგდოს სამართლიანობის პრინციპზე. იდეა ძალმომრეობის, არის იდეა იმპერიალისტების, იდეა სამართალის არის, იდეა დემოკრატიის.

გერმანიის დემოკრატია სავსებით ამ უკანასკნელ ნიადაგზე დადგა. მაგრამ საქმეს თვით ვილსონის გარეშემო ატეხილი განგაში აჩერებს. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს, დროებით საომარ გამარჯვებით თავბრუდასხმულთ, ახლა გაეღვიძათ გაუმაძღარი მადა გერმანიის სრული შემუსვრის და თავის სრული, უდავო ბატონობის დამყარების მთელ მსოფლიოზე.

იმპერიალიზმი ყველგან ერთი ბუნებისაა. გერმანიაშიც იგი მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფოდა, რისთვისაც ინგლისის შემუსვრას ეტრფოდა. ინგლისშიც იგი მსოფლიოს მეთაურობას ეძებს, და გერმანიის სახით მეტოქის სრულ ჩამოშორებას, გაქრობას, დამხობას ეტრფიალება.

მაგრამ იმპერიალისტების მდგომარეობა გერმანიის უკანასკნელ პასუხით ნათელზე უნათლესათ გამოაშკარავებულია.

ახლა თავის ხალხის მოტყუება და გზის აბნევა არ შეეძლება არც კლემანსოს, არც ლლოიდ ჯორჯს, არც თვით უმეტეს, თვით ვილსონს.

პრობლემა აშკარაა. დემოკრატია აყენებს სამართლიან ზავის საკითხს. და იმპერიალისტებმა ან უნდა სთქვან, რომ მათ არ სურთ სამართლიანობა და თავის უძირო ჯიბეების მოსაკრებათ ერევიან ხალხს ტყვის ცეცხლში გასაჟლეტათ, ან წინადადება გერმანიის მიიღონ. პირველი მათ შინ, დემოკრატიაში, ხალხის ფართე მასსაში სრული სახელის გატეხას უქადის, მეორე კი დაუყონებლივ ზავს გვიახლოვებს.

პირველ შემთხვევაში იგინი, ეჭვი არაა, მით მიიღებენ ახალ სედანს, ახალ უმაგალითო დამარცხებას.

მეორე შემთხვევაშიაც კი ასეთი შედეგი არ არის სრულიად უარყოფილი. მეტად დიდი ხანი იომეს ხალხებმა იმპერიალისტების მიერ გაბრუებულებმა, მეტად ბევრი მსხვერპლი შესწირეს ომის მოლოხს, და პირველი გამოფხიზლებისთანავე, ეჭვი არაა, თავის მტაცებლურ მთავრობებს პასუხს მოსთხოვენ იმ ზღვა ცრემლებისა და სისხლისათვის, რომელიც ნაკადულებათ სდიოდა 5 წლის განმავლობაში.

იმპერიალიზმი უნდა ჩაიღრჩოს ამ სისხლის მორევში. ევროპის დემოკრატია შედის გერმანიის დარაზმული, შეკავშირებული, გაწვრთნილი სოც.-დემოკრატიული მუშათა კლასის მეთაურობით და მსოფლიო იმპერიალიზმს თვით საფუძველში წყალი უდგება.

ომმა მიაღწია თავის უკანასკნელ საფეხურს, და ზავის იდეამ, როგორც მისმა ანტიპოდმა, დაიჭირა მისი ადგილი.

ჩვენ დიადი მოვლენების წინაშე ვდგევართ, რომლის მსგავსი არ უნახავს კაცობრიობას. ევროპის ერთა ურთიერთობაში ძლიერი რევოლიუცია მზადდება, ახალი საფუძველი უნდა მიეცეს ევროპის საზოგადოებრიობას. ზავისთვის ბრძოლა დემოკრატიის ბატონობისთვის ბრძოლაა. ზავის გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა. ხოლო დემოკრატიის ბატონობა შესავალია იმ ნეტარ მომავლის, რომელიც ჩაგრულ კაცობრიობას ამ ქვეყნიურ სამოთხეს მიანიჭებს.

ევროპა მძლავრი ნაბიჯებით მიექანება ამ მომავლისაკენ და თუ დღეს იგი არ არის დასმული, როგორც პრაქტიკული საკითხი, ეს იმიტომ, რომ საფეხური საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დემოკრატიზაციისა უნდა წინ უძღოდეს მას, როგორც ნიადაგის მომზადებელი ამ ახალ ურთიერთობისათვის.

## სიტყვის თავისუფლება და კადეტური თავხედობა

კადეტების პარტია, სომხის შოვინისტური ბურჟუაზიის სახით, მოხდენილად სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში!

კადეტები თითქმის მეტეხის ციხეში გაფიცულ ბოლშევიკებს ესარჩლებიან!

კადეტები წინააღმდეგნი არიან ადმინისტრატიული „თვითნებობისა"!

კადეტები სოციალისტებს უწოდებენ თავისუფლების ჯალათებს და მტრებს!

რაშია საქმე? განა კადეტები ბოლშევიკებს, გინდ სამართლიანობას იცავენ?

არა, ისინი სოციალისტური მთავრობის, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ!

ამ ქამად ადგილობრივი კადეტები იმ „ბნელ საქმეს" აკეთებენ სიტყვით მაინც, რომელსაც მათი მოკავშირენი—ალექსეევ დენიკინ-კრასნოვები ყუბანში და დონის ოლქში საქმით აკეთებენ.

ჩვენებური კადეტები თავიანთ გაზეთ „რეჩში" აქებენ და ადიდებენ დონის და ყუბანის ოლქის გმირებს, მათ უპირდაპირებენ ჩვენს მთავრობას და დასკვნას ასეთს აკეთებენ—გენ. ალექსეევის მოხალისეთა ჯარი და გენ. კრასნოვი უკეთესად იცავენ თავისუფლებას, სამართლიანობას, ვიდრე საქართველოს სოციალისტური მთავრობა!

აი, რაში გამოიხატება კადეტების მიერ სიტყვის თავისუფლებით სარგებლობა. აი, ნიშნები მათი თავხედობისა:

„რეჩი" სწერს: „დიახ, ჩვენს (ე. ი. კადეტების) კონტრ-რევოლიუციონერობაში მეტია მოქალაქობრივობა და სხვასი პიროვნებისადმი პატივისცემა. ყუბანის ოლქში ბატონობენ კადეტებთან ახლო მდგომი ელემენტები, რომლებიც ამ უკანასკნელებთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ. აი, როგორ მოქმედებენ ისინი იმ დროს, როცა თქვენ (ე. ი. საქართველოს მთავრობა) ადმინისტრატიული წესით სასჯელს მიმართავთ. ტამანის კუნძულზე ყუბანის მთავრობის წინააღმდეგ სამხედრო აჯანყებამ იფეთქა ყუბანის მთავრობის წინააღმდეგ და როგორ ფიქრობთ, ისინი ადმინისტრატიული წესით დასაჯეს? არა. საქმე სასამართლოს გადეცა. სამი დღე არჩევდა სასამართლო მათ საქმეს—იყვნენ დამცველები და მოწმეები და ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ბრალდებულთ თვითნებობისაგან დაიცავდა. რა დაადგინა სასამართლომ: დახვრეტა თუ ჩამოხრჩობა მათი? ამგვარი კანონი ხომ აქვთ საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტებსაც? არა. უმაღლესი სასჯელი იყო ოთხი წლის გამასწორებელი რაზმი და სასამართლომ იშუამდგომლა სასჯელის ჰაუპტვახტზე შეცვლით. არ შეიძლება ვკითხოთ—ვინ უფრო იცავს სამართლიანობას—სოციალისტები თუ „კონტრ-რევოლიუციონერები?

„ჩვენ ვიცით, როგორ ეპყრობიან ჩვენში პრესას დონის ოლქში გენ. კრასნოვი ბატონობს. მის გარშემო შემოკრებილნი არიან ოქტომბრისტები და კადეტები. იქაც „კონტრ-რევოლიუციონერები" უფრო პროგრესისტები აღმოჩნდენ, ვიდრე ჩვენი სოციალისტები. დონის ოლქში მათ გამოსცეს კანონი, რომლითაც ბეჭდვითი სიტყვის შევიწროება სასამართლოს გარეშე ადგილი არ უნდა ჰქონდეს".

ერთი სიტყვით, ყოველგვარი საბუთები ჩამოთვლილი იმის დასამტკიცებლათ, რომ ალექსეევ-დენიკინის ჯარი, გენ. კრასნოვი, ოქტომბრისტები და კადეტები უფრო პროგრესიული ხალხია, ვიდრე სოციალისტები!

აი, რა სახით ებრძვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩვენში შემოხიზნული კადეტთა პარტია, აი, როგორის საშუალებით უმზადებს ეს პარტია ჩვენში ნიადაგს იმ მოხალისეთა არმიას, რომელმაც გაანადგურა დონის და ყუბანის ოლქები!

როგორის სიხარულით მოელიან რუსი სომეხი შოვინისტები ამ არმიის ჩვენში ბრძოლით შემოსვლას!

ნუ თუ ამათ თავხედობას საზღვარი არ უნდა დაედოს ჩვენში?

ქალაქის საბჭოში კადეტმა ხანდამოვმა განაცხადა პროტესტი ადმინისტრატიული თვითნებობის წინააღმდეგ!

იმავე საბჭოში კადეტი ამირალოვი ეკითხებოდა ქალაქის თავს—რისთვის არიან ციხეებში ბოლშევიკები, დუშეთის საქმეზე?!

აი, ვინ იცავს „სამართლიანობას", ვინ ებრძვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, აი, ვინ უმზადებს ნიადაგს ჩვენში ალექსეევ დენიკინის ლაშქარს!

რუსი კადეტების ქურქში გახვეულნი სომეხი შოვინისტები!

ყველაფერს საზღვარი აქვს. ამ ვაჟბატონების თავხედობასაც უნდა დაედოს საზღვარი ერთხელ და სამუდამოთ!..

ხალხი, რომელიც აშკარათ აღიარებს, რომ მხოლოდ დღეს არ ებრძვიან ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ ხვალ შეიძლება შეებრძოლონ, რაკი დროს იშოვნიან, ასეთი ხალხი აშკარა მოღალატეა იმ რესპუბლიკის, რომელსაც შეფარებია. და განა შხამიანი სიტყვაც შხამიან გველზე უფრო მავნებელი არ არის?..

## საქართველოს პარლამენტი

### 29 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს დღის წესრიგს, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული.

**საბოლოვო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის გამრავლების კანონისა.**

მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა ზემო ხსენებული კანონი.

**რუსთა წარმომადგენლების არჩევის შესახებ.**

მომხსენებელია შ. მიქელაძე.

შ. მიქელაძე. სამანდატო კომისიამ განიხილა რა რუსთა ეროვნულ საბჭოს მიერ პარლამენტის წევრებად არჩეულ მიხ. სმირნოვის და ალ. კოლიუბინის მანდატები, არ სცნო იგი კანონიერათ, იმ კანონის მე-2 მუხლში, რომლის ძალითაც უმცირესობათა წარმომადგენლნი შემოდიან პარლამენტში, აღნიშნულია, დეპუტატების არჩევა შეუძლიანთ ისეთ საბჭოებს, რომლებიც არსებობენ საქართველოში და თავიანთ მოქმედების ასპარეზად ისახავენ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას. რუსთა ეროვნული საბჭო თავის სამოქმედო ასპარეზათ მთელ ამიერ-კავკასიას მიიჩნევს. რუსთა საბჭოს დადგენილებით მათი წესდების მე 6 მუხლის ძალით რუსთა საბჭოს ნება აქვს აირჩიოს პარლამენტის წევრი. უნდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტისათვის არ არის სავალდებულო სხვადასხვა საბჭოების დადგენილებანი. ამის გამო სამანდატო კომისია იმ აზრისა არის, რომ იცნოთ უკანონოთ ეს არჩევნები. მოხსენება მიიღეს უკამათოდ.

**ებრაელთა წარმომადგენლების არჩევის შესახებ.**

შ. მიქელაძე. კანონის მუხლის ძალით ორი წარმომადგენელი ქართველ ისრაელთა უნდა გამოეგზავნათ პარლამენტში, ერთი წარმომადგენელი დანარჩენ ებრაელთ. ებრაელებისაგან ორი სხვადასხვა მანდატი მოვიდა. ერთი ებრაელთა საბჭოს მიერ, რომელსაც სამი წარმომადგენელი აურჩევია: კაკიტელაშვილი, შტრეიხერი და გაზოვი. მეორე მანდატი ქართველ ისრაელთა ინტერ პარტიულ საბჭოდან, რომელთაც ორი წარმომადგენელი აურჩევიათ. სამანდატო კომისიამ განიხილა ეს მანდატები და იმ აზრს დაადგა, რომ პირველი არ უნდა იქნეს დამტკიცებული, რადგანაც მათ ცალკე უნდა აერჩიათ წარმომადგენელი, ქართველ ისრაელთ ორი. შესაძლებელი იყო შეერთებულიყვნენ, თუ პროტესტი არ იქნებოდა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ებრაელთა საბჭოს ბევრი პროტესტები მოუვიდა სხვა და სხვა კუთხის ქართველ ისრაელთაგან. მეორე მანდატი კანონიერია. ინტერპარტიული საბჭოსი ყველა პარტიის წარმომადგენლები არიან: (სოც.-დემ., სოც.-რევ., სოც.-ფედ. და ნაც.-დემოკ.). აქ მთელ ქართველ ისრაელთ აქვთ თავი მოყრილი.

საბჭომ უკამათოდ მიიღო სამანდატო კომისიის წინადადება და პარლამენტის კანონიერ წევრებათ იცნო ქართ. ისრაელთა წარმომადგენლები ბუზიაშვილი და დავარაშვილი.

**დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულება.**

მ. რუხია. საპარლამენტო იურიდიულმა კომისიამ ამ დებულებაში შემდეგი შესწორებანი შეიტანა: რეგულიარულ ჯარს აქვს პასიური უფლება და ადმინისტრაციას მიეცეს უფლება პასიური და აქტიური არჩევნების. საარჩევნო უფლება არის უძვირესი მონაპოვარი დემოკრატიისა. მთელი მსხვერპლი გაწეული ამ უფლების მოპოვებისათვის. თუ გადავხედავთ ამ პროექტს, არც ერთი მოქალაქეს სამუდამოთ არ ერთმევა უფლება მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მხოლოდ ჯარს ვუტოვებთ მარტო პასიურ უფლებას, რადგანაც ჯარი არ არის ორგანიზაციულად მოწყობილი და აქტიურ საარჩევნო უფლების მიცემა ხელს შეუშლის მის ორგანიზაციას. თვით კატორღა მისჯილ დამნაშავეთაც არ ეკარგებათ სამუდამოთ საარჩევნო უფლებები, როდესაც გადის დრო, მათ უფლებანი უბრუნდებათ. ერთად ერთი კატეგორია, რომელთაც არ აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა, ეს განგებ ბოროტ-გამხრახველ შეუძლებელ მოვალეთ, არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს მოკლებული საარჩევნო უფლებას. თუ ჯარს აქტიური არჩევნების უფლება ერთმევა, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჯარში წასვლა ეს ყველას მოვალეობაა. გინდა თუ არა თუ კი კანონი მოგიწვევს უნდა მოიხადო სამხედრო ბეგარა. მილიციაში სამსახური კი ეს ნებაყოფლობითია. თუ მათ საარჩევნო უფლებებს წაართმევთ, მერწმუნეთ არც ერთი მოქალაქე არ შევა მილიციაში. ადმინისტრატიული სამსახური ეს სასჯელი იქნება, და ყველა შეგნებული მოქალაქე მოერიდება მის სამსახურს. მოვითხოვ, რომ მეხუთე მუხლი იქნას ამოშლილი და ადმინისტრაციის მიენიჭოს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

ი. გობეჩია (ს. რ.) მოითხოვს, რომ ჯარს მიეცეს პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებანი, რადგანაც ჯარი არ არსებობს შინაური მტრებისათვის. როდესაც ის თავისუფალი იქნება თავის პირდაპირ მოვალეობისაგან, შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა საერთო სახელმწიფო აღმშენებლობაში. იქ, სადაც უმრავლესობა სოციალისტებს მისდევს და ძალა უფლებებს ხალხის შეგნებაზე ამყარებენ, შეუძლებელია იქ უფლებების ჩამორთმევა. ადმინისტრაციას, რადგანაც არჩევნების დროს წესრიგის დამყარება მოუხდებათ, მათ საჭირო მსხვერპლი უნდა გაიღონ და საარჩევნო უფლებაზე ხელი უნდა აიღონ. ის ადმინისტრატორები, რომლებიც ეზარებიან ამ თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფის აზრს, წესრიგს ვერ დაამყარებენ.

რ. გაბაშვილი (დამ. ნაც.) ჯარი არ უნდა ღებულობდეს არჩევნებში არავითარ

მონაწილეობას, რადგანაც ეს გამოიწვევს სამოქალაქო ომსაო. ორატორი წინააღმდეგია აგრეთვე, რომ თვითმართველობის თვითეულ მარე წევრებს სხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთ, ძალთა განწყობილების მიხედვით საარჩევნო კომისიის შესადგენათ. ეს მოუსპობს უფლებებს სხვა მცირერიცხოვან პარტიებს მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ორატორი წინააღმდეგია აგრეთვე, რომ 19 წლისებს ეძლეოდეთ არჩევნების უფლებები, ქვეშევრდომობის კანონიც არ არის სათანადოთ შემუშავებული და ეს კი შეაფერხებს არჩევნების ნორმალურ მსვლელობასო. მოითხოვს აგრეთვე მეშვიდე მუხლის შეცვლას სადაც ნათქვამია: არჩეული რომ იქნას, ამის უფლება იმ პირსაც აქვს, რომელიც სრულებით არ არის შეტანილი საარჩევნო სიაში. შეაქვს წინადადება, რომ პროექტი გადაეცეს კომისიას ხელმეორეთ დასამუშავებლათ.

არჩ. ჯაჯანაშვილი (ს. ფ.) მოითხოვს, რომ არჩევნები ისე უნდა სწარმოებდეს, რომ ნასახ ძალადობასაც არ ქონდეს ადგილი ხალხს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნება, რომ იგი წარმოადგენს აქტიურ მონაწილეს. დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანიამ ეს შეგნება უნდა შეიტანოს ხალხში. ორატორი აცხადებს, რომ მათი ფრაქცია წინააღმდეგია იურიდიულ კომისიის შესწორების, რადგანაც ადმინისტრაციის თვისება ისეთია, რომ იგი დაინტერესებულია ყოველთვის ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფის წარმომადგენელნი გაიყვანონო.

ს. კედია. (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო სათანადოთ გაშუქებული არც პრესაში და არც საზოგადოებაში. საარჩევნო უფლების ბევრი მასალა არსებობს და ყველა დებულებისთვის უნდა გაეწია კომისიას ყურადღება. სხვადასხვა საარჩევნო სისტემით რომ ეხელმძღვანელა კომისიას, მაშინ მივაღწევდით მიზანს, რომ იდეალური დემოკრატიული საარჩევნო უფლებები გვექნებოდა. მოითხოვს, რომ ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს საარჩევნო კამპანიას უნდა იყოს მიუდგომელი და ერთი წევრის მიერ განმარტება ძალთა განწყობილების, ძნელიაო. ჯარს არ უნდა ჰქონდეს არც აქტიური და არც პასიური უფლება. ის უნდა იყოს უზენაესი დამცველი სამშობლოს იდეისა. ორატორი მომხრეა, რომ ადმინისტრაციას აქტიური საარჩევნო უფლების ნება ჰქონდეს.

რ. არსენიძე. (ს. დ.) დამფუძნებელ კრების არჩევნების გამო მრავალი კითხვა აღძრა. ამ ჟამად მივაქცევ ყურადღებას მთავარ დებულებებს. საერთო პრინციპი დამფუძნებელ კრებისა იმაშია, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს უფლება გამოსთქვას და გამოხატოს თავის სუვერენული უფლება. როდესაც ეყრება საძირკველი საქართველოს დამფუძნებელ კრებას, მასში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს, დამფუძნებელ კრებაში ყველას ნება სურვილი უნდა გამოხატული. არავითარ შეზღუდვას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. აქ დემოკრატიული პრინციპი ფართედ უნდა იქნეს. ამ აზრს ადგა სოციალდემოკრატია. მეორე დებულება იმაში გამოიხატება, რომ ყველა მიმდინარეობას უნდა ჰქონდეს ადგილი დამფუძნებელ კრებაში. ყველა ის სურვილი, რომელსაც რაიმე გარკვეული ხაზი და საფუძველი აქვს, უნდა ჰპოვდეს გამომხატველი დამფუძნებელ კრებაში.

ეს ორივე დებულება დაცულია ამ დებულებაში. აქედან წარმოსდგა ის საკითხი, რომ საარჩევნო ოლქი ერთი ყოფილიყო. ის მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც პატარა ოლქში ვერ მოაგროვებდა საკმაო რიცხვს ხმებისას დეპუტატის ასარჩევათ, როდესაც იქნება ერთი საარჩევნო ოლქი, ყოველთვის შესძლებს დეპუტატის მოყვანას. ეს არის უდრესი დემოკრატიული საარჩევნო პრინციპი. მიუხედავათ იმისა, რომ საარჩევნო კანონის დებულება აძლევს შეძლებას მცირე რიცხოვან პარტიასაც კი გაიყვანოს თავისი წარმომადგენელი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის ჯგუფი, რომელიც წარსულს ეკუთვნის, თვით ერის მიერ იქნებიან გარიყულნი. ვის უნდა წაერთვას საარჩევნო უფლება, ამ საკითხს დიდის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. დასჯილთ ბოროტმოქმედებისათვის ერთმევათ საარჩევნო უფლება, მაგრამ როდესაც გადის განსაზღვრული დრო და ისინი თავიანთ ბოროტებისკენ მიდრეკილებას ხელმეორეთ არ გამოიჩენენ, მათ წართმეული უფლებანი უბრუნდებათ. დიდის გულის ტკივილით ვართმევთ ჯარს აქტიურ საარჩევნო უფლებებს. ჩვენ არ გვინდა ამ მწყობრ ორგანიზაციაში იქნას შეტანილი პარტიული აგიტაცია, რომელიც გაღვივებს რა პარტიულ ბრძოლას, ხელს შეუწყობს ორგანიზაციის დაშლას. პასიური უფლება კი არ შეუშლის ხელს, რადგანაც ჯარი არ იქნება მონაწილე ამა თუ იმ პირის არჩევანში. არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება ადმინისტრაციას წაერთვათ უფლება აქტიური არჩევნების.

თუ ადმინისტრაციას უფლება ექნება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მაშინ ძალას ხმარებენ და არჩევნებზე გავლენას მოახდენენ არჩევნებისთვის ჩვენ ვქმნით სპეციალურ საარჩევნო აპარატს. თუ ადმინისტრატორები იქნებიან ხელმძღვანელნი არჩევნებისა, მაშინ სხვა საკითხია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ვქმნით განსაკუთრებულ საარჩევნო აპარატს, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ერობის, თვითმართველობის და პარტიათა წარმომადგენელნი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადმინისტრაცია არ უწევს ხელმძღვანელობას არჩევნებს. მთელი მისი უფლება გამოიხატება იმაში, რომ მივა საარჩევნო ყუთთან იარაღ აყრილი და ფარულად მისცემს ხმას. ჯარს უნდა მიეცეს პასიური უფლება და ადმინისტრაციას კი სრული უფლება. შეიძლება არჩევნების დროს ადგილი ჰქონდეს რაიმე ძალადობას, ყოველისფერი შესაძლებელია, მხოლოდ ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ისეთი აპარატი, რომელიც არ გაამართლებს და არ დაკანონებს ასეთ ძალადობას.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს. ალ. ლომთათიძე. უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ ბ. გაბაშვილის სიტყვას. საიდან დაასკვნა, რომ კომისიის მოხსენება იყო სოც.-დემოკრატის აზრი. ძალიან ვწუხვარ, რომ კომისიის წევრი ბატ. კედია სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრო კომისიის კრებას და არ მიიღო მონაწილეობა მის მუშაობაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს დიდის ყურადღებით ვისმინე ბ. კედიას სიტყვას და მაინც ვერ მივხვდი, რომელ საარჩევნო პრინციპს ემხრობა იგი. ოლქების დაცვის საკითხს ყველა პარტიის წევრნი ერთნაირად უყურებდნენ. ყველა პარტიის წევრნი იცავდნენ იმ აზრს, რომ საქართველო უნდა წარმოადგენდეს ერთ საარჩევნო ოლქს. თუ მაგალითად, ერთი დეპუტატის გაყვანისათვის საჭიროა 25 ათასი ხმა, თუ ოლქებათ დაიყოფა, მაშინ მცირე რიცხოვანი პარტიები ვერ შეკრებენ იმ 25 ათას ხმას და ვერც ერთ დეპუტატს ვერ გაიყვანენ. ეს აზრი ყველამ ერთ ხმით მიიღო. კომისიის აზრით ჩვენ ისეთი ორგანო უნდა შევქმნათ, რომ მომავალი დამფუძნებელი კრება იყოს მთელი საქართველოს სახეო. ბატ. გაბაშვილს, რაცა კი შეძლება მიეცემა, ილაშქრებს სოც.-დემ. წინააღმდეგ. ბ. გაბაშვილმა სთქვა, რომ სამაზრო ერობის და თვითმართველობის წარმომადგენლნი უთუოდ სოც.-დემოკრატები იქნებიან შეიძლება საარჩევნო კომისიაში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელნი არც კი მოიწვიონო. კომისია დაადგა იმ აზრს, რომ სამოქალაქო თვითმართველობას აირჩევს ერთი პირი, რომელიც მოიწვევს ყველა არსებულ პარტიათა წარმომადგენლებს, ისინი აირჩევენ თავმჯდომარეს და გაუწევენ ხელმძღვანელობას არჩევნებს. სხვა ამაზე უკეთესათ კითხვის გადაჭრა ჩვენთვის არავის უჩვენებია. ეს ერთად ერთი გამოსავალი იყო.

რაც შეეხება ქვეშევრდომობის კანონს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. გაბაშვილს ჩვენი მუშაობა არ მოსწონს. ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ მარტო ნაკლის აღიარება არ კმარა. ცხოვრებამ გამოაშკარავა, რომ საჭიროა იმ კანონში კორექტივების შეტანა. გვიჩვენეთ თქვენი ნამუშევარი, ბ-ნო გაბაშვილო. მარტო კანონების დაწუნება არ კმარა. კომისიამ მიიღო იურიდიულ კომისიის შესწორებანი, რომ ჯარს მიეცეს უფლება პასიური არჩევნების. რაც შეეხება აქტიურ საარჩევნო უფლებას, ეს კომისიას ჯარისთვის შეუძლებლათ მიაჩნია. ადმინისტრატორთა იმ პირთ, ვისაც დაეკისრება არჩევნების მოწყობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, კომისიის აზრით არ მიეცემათ საარჩევნო ხმა.

პარლამენტი ადგენს გადავიდეს დებულების მუხლობრივ განხილვაზე.

პირველი მუხლი, რომელშიაც აღნიშნულია: „დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეულნი მცხოვრებლების მიერ საყოველთაო—განურჩევლად სქესისა,—თანასწორის, პირდაპირი და ფარულის ხმის მიცემით პროპორციულ წარმომადგენლობის საფუძველზე,—პარლამენტმა უცვლელად მიიღო.

მე 2 მუხლი, რომ დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვი იქნება ას ოცდა ათი და არჩევნებისთვის საწარმოებლად დაარსდეს ერთი ოლქი, იწვევს მცირეოდენ კამათს. სოც. ფედ. სახელით შ. მიქელაძეს შეაქვს წინადადება რიცხვი დეპუტატების სა იყოს 150 კაცი. ს. კედია მოითხოვს, რომ საარჩევნო ოლქებათ უნდა დაიყოს საქართველოს რესპუბლიკა, რათა შეძლება მიეცეს ყველა კუთხეს თავის წარმომადგენლები გამოგზავნონო, რადგანაც საქართველოში სხვადასხვა კუთხეში არ არის ერთფეროვანი კულტურა და ეკონომიური მდგომარეობა. რ. გაბაშვილს შეუძლებლათ მიაჩნია სხვადასხვა ოლქებათ დაყოფა. ალ. ლომთათიძე იცავს იმ აზრს, რომ საჭიროა 130 წევრი. რაც შეეხება კედიას აზრს, რომ საჭიროა რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებათ დაყოფა, რათა სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები იყვნენო, ეს მიუღებელია. განა არ შეიძლება სია კანდიდატების ისე შეადგინოთ, რომ ყველა მხრიდან იყვნენ წარმომადგენლები?

პარლამენტმა ხმის უმეტესობით უარყო სოც.-ფედ. შესწორება—ყოფილიყო 150 წევრი. აგრეთვე არ მიიღო ეროვ. დემოკრატების წინადადება საარჩევნო ოლქებათ დაყოფის შესახებ.

პარლამენტმა მიიღო კომისიის წინადადება ერთი საარჩევნო ოლქი და დეპუტატთა რიცხვი 130.

მე 3 მუხლი, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ორივე სქესის მოქალაქენი, თუ მათ არჩევნების დღისთვის ცხრამეტი წელი შეუსრულდათ, და ჯარს ეძლევა უფლება პასიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, იწვევს კამათს.

დ. ვ ჩნაძე წინააღმდეგია, რომ ჯარს პასიური უფლება ჰქონდეს. სპ. კედია, მოითხოვს საარჩევნო უფლების მიცემას 21 წლიდან. ივ. გობეჩია მოითხოვს ჯარისთვის პასიური და აქტიური არჩევნების უფლების მიცემას.

ხმის უმეტესობით მიიღეს წინადადება, არჩევნების უფლება მიეცეთ 20 წლიანებს. ს. რევ. წინადადება, რომ ჯარს აქტიური საარჩევნო უფლება მიეცეს, უარყვეს ხმის უმეტესობით.

რ. არსენიძის წინადადებით, ამ დებულების განსახილველათ დაინიშნა ხუთშაბათისათვის პარლამენტის საგანგებო სხდომა. არსენიძის წინადადება პარლამენტმა მიიღო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საქართველოს წინააღმდეგ.**

შავრაზმელების „ვოლოს კიევას" უკანასკნელ № ში შემდეგი შავრაზმული წერილია მოთავსებული საქართველოს შესახებ:

„აღმოსავლეთიდან ცუდი ამბები მოდის. საქართველო არა თუ გამოერკვა, ის არ თუ განთავისუფლდა ბოლშევიკებისაგან, მას არა თუ უჭირავს წმინდა რუსული ოლქები, არამედ მან ნამდვილი ბრძოლაც გაუმართა ყველაფერს რუსულს საქართველოში. კავკასიის „ამხანაგები" არაფერში უვარდებიან დანარჩენებს.

საკვირველია მათი ბეცი პოლიტიკა. ნუ თუ მათ არ იციან, ყველაფერი ეს სადამდე მიიყვანს. საქართველოში არის უდიდესი რუსული ჯგუფები და აგრეთ ვე ჯგუფებიც დაკავშირებულნი რუსეთთან. ისინი „ამხანაგებს" თავის პოზიციებს არ დაუთმობენ. დაიწყება სასტიკი ნაციონალური ბრძოლა. ცნობილი თვითგამორკვევა მიიყვანთ ნაციონალურ თვითმოსპობამდე.

რას ეყრდნობიან ან და რის იმედი აქვთ ქართველ სეპარატისტებს? უკეთეს შემთხვევაში ყველაფერი რუსულის მოსპობისა საქართველოში. ისინი დაიწყებენ ნაციონალური ოპოზიციის ბელადების ციხეებში დალპობას; დახურავენ რუსულ გაზეთებს. დროებით, თუ ფიზიკური ძალა მათ მხარეზე იქნება, გაიმარჯვებენ კიდეც. მაგრამ ეს იქნება გამარჯვების მხოლოდ გარეგნული მხარე. ყველა არ დაიღუპება: ისინი გადარჩებიან საქართველოს საზღვრების გარეშე და იქიდან გააჩაღებენ ბრძოლას. დანარჩენები გადავლენ სარდაფებში და იქიდან არალეგალურად დაიწყებენ მოქმედებას. დანარჩენები კი, ალბად, გაქართველდებიან. მაგრამ ნამდვილად კი ისინი სამღვთო ფიცს დასდებენ: ქართველის სახის ქვეშ იმუშაონ საქართველოს დასაღუპავად. ნელ-ნელა ძალა გამოლეული, ჭანც-მილეული, გარედან კი საფრთხე შემდგარი საქართველო, დაემხობა და მისი ხალხი კი დასწყევლის შუბლ ვიწრო ქართველ ნაციონალისტებს.

მაგრამ შეიძლება უარესიც დაემართოთ. სამხედრო ბედნიერებამ და დიპლომატიურმა თამაშმა შეიძლება მათ გვერდზე აუაროს. ქართული სეპარატიზმი გაიჭყლიტება. მაგრამ მასთან ერთად შეიძლება სასტიკად იზარალოს ქართველმა ხალხმაც. გამარჯვებული რუსები დაინახავენ და გაიგებენ, თუ როგორი გველი აღზარდეს თავიანთ მკერდზე. ისინი იქნებიან სასტიკნი და შეურაცხყოფილნი—და თავის მხრივ მართალნიც იქნებიან. ისინი დაიწყებენ მტკიცებას, რომ ნაციონალური უმადურობისა და და სახელმწიფოებრივი ღალატისათვის უნდა დასჯილ იქნენ, რომ სახელმწიფოს არსებობა არ უნდა იყვეს დამოკიდებული ქართველების ბოროტ თუ კეთილ ზრახვებზე. მაშინ ერთი ძალდატანება ალაგს დაუთმობს მეორეს, ნაციონალური ბრძოლა იფეთქებს ყოველმხრივ და მშვენიერი საქართველო დიდხანს იქნება ტყვეობაში. და ის ამ შემთხვევაშიც დაუწყებს წყევლას თავის „ამხანაგებს", მაგრამ დასწყევლიან გამარჯვებულებსაც.

ჩვენ ნაკლებ გვაინტერესებენ „ამხანაგები", მაგრამ რუსულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმზე მარყუშის გაკეთებამ ჩვენ არ შეიძლება არ აგვაღელვოს.

რაშია ხსნა? სად არის იმედი და ნუგეში? საქართველოში შეიძლება კაცმა თავი ინუგეშოს იმით, რომ ქართული მადის ფრთის გაშლა უკუღმა პროპორციონალურია მათ ნაციონალურ შესაძლებლობასთან. შეიძლება ვინუგეშოთ კიდევ იმითაც, რომ ამ ნაციონალურ ღალატში რუსები მონაწილეობას არ იღებენ. ვიწამოთ, რომ პოლიტიკურ ძალთა შეცვლისთანავე ქართველების სალხინო თამაშისაგან კვალიც აღარ დარჩება".

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).
30 ოქტომბერი.

**სამინისტროს გადადგომა ავსტრიაში.**

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო გუსარევის სამინისტროს გადადგომა. მინისტრ-პრეზიდენტათ დაინიშნა ლამაში.

**ლოიდ-ჯორჯი და ბალფური საფრანგეთში.**

**ლონდონი.** ლოიდ ჯორჯი და ბალფური საზღვაო და ხმელეთის აფიცერთა თანხლებით საფრანგეთს გაემგზავრენ.

**გემის ჩაძირვა.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით, კანადის საოკეანო „სოფია" ჩაძირა. დაიღუპა 343 მგზავრი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 29 ოქტ. ც. ა. კ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი. ბულგარეთი. სოფია. 21 ოქტ. მთავრობის ჯარის ცდა დაამარცხოს რადომირსკის (?) ბოლშევიკური რესპუბლიკა, უნაყოფოა. სტამბულინსკის მომხრენი მედგრათ იცავენ თავს. სოფია. 26 ოქტ. შეთანხმების სახელმწიფოთა დახმარებებით საბოლოოთ შედგა ბულგარეთში მალინოვის კაბინეტი.

**სტოკჰოლმი.** 27 ოქტ. შვეციის მუშები ბოიკოტით დაემუქრენ ფინლიანდიას, რასაც შედეგათ იალოსის განთავისუფლება მოჰყვა. ვარშავა. 28 ოქტ. ებრაელებსა და ქრისტიან მუშებს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა 2,000 კაცი. ებრაელების სახლები და მაღაზიები დაარბიეს. პოლონეთის ახალ კაბინეთში შედიან პაციფისტები, რომელნიც ცენტრალურ სახელმწიფოებთან კავშირის წინააღმდეგი არიან. ბერნი. 28 ოქტ. იტალია საზავო მოლაპარაკების დაწყებას გაურბის, რადგან შიშობს, რომ მას შედეგათ მოჰყვება მოკავშირე სახელმწიფოთა კავშირის დარღვევა. ბერნი. 28 ოქტ. პარიზიდან იუწყებიან: კლემანსო წინააღმდეგია მოკავშირეებმა საზავო მოლაპარაკება დაიწყონ... (შემდეგი დამახინჯებულია). მოსკოვი. 28 ოქტ. აზრათა აქვთ დროეს და მაგარი სასმელების ქარხნების ნაციონალიზაციის შემოღება. იუსტიციის სახალხო კომისარიატში იმუშავებენ პროექტს ყველა უქმე დღეების მოსპობის შესახებ. ყოველი მეშვიდე დღე მოსვენების დღეთ ჩაითვლება: შემოღებული იქნება მხოლოდ „საზოგადოებრივ მნიშვნელობის" რამდენიმე სადღესასწაულო დღე, მაგრამ 9 იანვარი, 1 მაისი და 25 ოქტომბერი. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დააკმაყოფილოს იმ გაუქმებულ სესხის მეპატრონენი, რომელთაც 10000 მ. ნაკლები აქვთ შეტანილი. დიპლომატიურ წარმომადგენლათ პოლონეთში დაინიშნა მარხლევსკი. სოვნარკომის დადგენილებით რესპუბლიკის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ დაინიშნა სკლიანსკი. საფრანგეთში მიემგზავრება წითელი ჯვრის დელეგაცია რუს ჯარისკაცთა სამშობლოში დაბრუნების მოსაწყობათ. ჯარი დაბრუნდება შვეიცარიით და გერმანიით. კიევი. 28 ოქტ. „კიევსკაია მისლ"-ის ცნობით სადგურ უნეჩას უბანში ბოლშევიკებმა დიდძალი ჯარი დააგროვეს. კლინცის და სტაროდუბის უბანში აჯანყებულთა რაზმი თავს დაესხა უკრაინა გერმანიის საზღვარს. კიევში თეთრგვარდიელების ტერორია, ქალაქი თეთრ გვარდიელების, სამხრეთ არმიის ნაწილს და აფიცერთა რაზმების მფლობელობას ქვეშ იმყოფება. ისინი ატუსაღებენ პროფესიონალურ კავშირების თანამშრომლებს და სიკვდილით სჯიან. დახვრიტეს მტვირთავთა კავშირის თავმჯდომარე ისაეცკი. დასახიჩრებულნი და ნაწამებნი მრავლად არიან. მცხოვრებთა შორის მღელვარებაა. ცენზურის ქვეშ მყოფი პრესაც ახმაურდა. თეთრი ტერორი განსაკუთრებით რუსეთის საბჭოთა დელეგაციისა და გენერალურ საელჩოს წინააღმდეგ არის მიმართული: საბჭოთა დაწესებულებების სადგომებთან მრავლად იკრიბებიან თეთრ გვარდიელები, რომელნიც რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლებს ემუქრებიან. 24 ოქტომბერს ღამით თეთრ გვარდიელებმა დააპირეს საბჭოთა დელეგაციის სადგომისთვის ტყვიების დაშენა და გენერალურ ელჩის კრეშმინსკის დახვრეტა. გერმანულ ჯარის ჩარევამ დელეგაცია უბედურებას გადაარჩინა. თეთრ გვარდიელების შტაბი „პრაგა"-სა და „რუს"-ის სასტუმროებშია მოთავსებული. მათ უკრაინის მთავრობა შემწეობას აძლევს. სდგება აფიცრებისგან ახალი რაზმი ბოლშევიკებთან საბრძოლველათ უკრაინაში გამოცხადებულია ყველა აფიცრების მობილიზაცია. ამის გამო ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი და საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნეს ნოტა, სადაც მოითხოვენ, რომ მობილიზაცია არ უნდა შეეხოს ამ სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ. კიევი. 28 ოქტ. ცენტრალურ სახელმწიფოებში მყოფ უკრაინის მთავრობის წარმომადგენელთ საგარეო საქმეთა მინისტრის დოროშენკოს თავმჯდომარეობით ბერლინში თათბირი აქვთ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის გამოსარკვევათ. ხარკოვის გაზეთებმა გამოიტანეს რეზოლუცია: ხელახლათ დაარსდეს დიპლომატიური კორპუსი და დელეგატებათ გაიგზავნოს მილიუკოვი, ნაბოკოვი, ვინავერი, ნოვგოროდცევი და საზონოვი.

## ახალი ამბები

**წერა კითხვის საზოგადოება.** კვირას, 10 ნოემბერს (ახ. სტ.) დღის 12 საათზე ახალი კლუბის დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) 1916—1917 წლების საზოგ. გამგეობის მოქმედების ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების გამო, 3) გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ, 4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 5) გამგეობის და სარევიზიო კომისიის და სექციების წევრთა არჩევნები. რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან განყოფილებათა საზოგადო კრებაზე.

◆ **დუშეთის მაზრაში** საერობო არჩევნები 12 ნოემბერს მოხდება.

◆ **სანაინიდან დაბრუნდა** სომხეთის დიპლომატიური მისიის დელეგაცია. დელეგაციის წევრთა სიტყვით საქართველო-სომხეთის საზღვარზე კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდა.

◆ **ბაქოს ქართველები.** 28 ოქტომბერს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ბაქოში მცხოვრებ ქართველთა ერთი ეშელონი, რიცხვით სამასი კაცი. სხვათა შორის ჩამოვიდნენ ბაქოს ეროვნული საბჭოს წევრი ვლ. ბაქრაძე, მისი ამხანაგი ალ. ქორქოლიანი, ექიმი კონ. ლორთქიფანიძე და სხვ. ბაქოში ამ ჟამად იმყოფება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ნ. ქარცივაძე. ბაქოში დარჩენილი ქართველები ემზადებიან ახალი ეშელონის შესადგენად და ახლო ხანში ჩამოვა მეორე ეშელონი.

◆ **სოჭიდან** გზათა მიმოსვლის მინისტრის რწმუნებული ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ შავი ზღვის რკინის გზის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მისაცემათ ფული არ არის და საჭიროა ამისთვის რკინის გზის კონების ერთი ნაწილის გაყიდვაო.

◆ **ხად ხაშურის ტელეგრაფისტები.** გზათა მინისტრს დეპეშით ატყობინებენ, რომ 2 თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ, რის გამოც შიმშილს განიცდიან და იძულებული იქნებიან მუშაობა შესწყვიტონ. ითხოვენ განკარგულება მოახდინოს მინისტრმა ჯამაგირის მიცემის შესახებ

◆ **ქართულ გერმანულ კულტურულ საზოგადოებაში.** კვირას, 4 ნოემბერს წაიკითხავს ლექციას გერმანიაში ცნობილი ლექტორი დოქტ. ა. დირრი შემდეგ თემაზე, გერმანია და ომი. ბარიატინსკის ქ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე, საღამოს სრულს 8 ნახ. საათზე შესვლა თავისუფალია ყველა მსურველთათვის.

**კრებები.**

დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება სოც. დემ. მუშ. პარ. მეორე რაიონის კოლექტივს წევრთა მორიგი კრება.

დღეს, 31 ოქტომბერს, დანიშნულია მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა საღამოს 6 საათზე.

— დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 31 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე მეექვსე საჯარო გიმნაზიაში, დანიშნულია მეოთხე კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— პარასკევს, 1 ნოემბერს საღამ. 4 საათზე, ველაბრის კლუბის შენობაში (კახეთის ქუჩა № 1) დანიშნულია ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება, მესამე რაიონისა.

## ომი და ზავი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).
30 ოქტომბერი.

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 29 ოქტ. სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის დაბლობში ოლსენთან, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. მტრის ძლიერი რაზმები კონდეს ჩრდილოეთ დასავლეთით შეეცადა დაეჭირა შელდის სამხრეთით. ინგლისელთა ძლიერ რაზმს იერიში მოჰქონდა ჩვენ პოზიციაზე ფა მართან. 176 ქვეითთა პოლკმა, პოლკოვნიკ პრეუსერის მეთაურობით, მტერი მოიგერია [illegible] ამ პოლკმა [illegible] 371 საარტილერიო [illegible] ამ და 338 ქვეითთა ბატარეამ. არტოთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. მტერი განაგრძობს მშვიდობიან დაბების განადგურებას. შელდის დაბლობების აღმოსავლეთით მტერი უშენს ვალენსიენსაც.

**გერმანიის კრონპრინცის არმია.** უაზის არხის 3 რდაპირ, ერტრესა და ლიეკელის შუა ფრანგების იერიში დავა მარცხეთ არტილერიის საშუალებით. მცირე რაზმი, რომელიც არხს აქეთ შემოიჭრა, უკუ ვაქციეთ ჩვენი კონტრ-იერიშით.

**გალვიცის არმია.**

იერისა და მაასის შუა დრო გამო შვებითი საარტილერიო ბრძოლაა. ომის უკანასკნელ დროებში ჩამოვაგდეთ მტრის 49 ჰაეროპლანი და 3 ბალონი.

**ბერლინი** 29 ოქტ. საღამო სამხედრო ცნობა. ლისის სამხრეთით და ლეკესნუას სამხრეთით დრო გამოშვებითი ბრძოლა სწარმოებს. ნიზი ლეკონტ და ენის შუა, ნაშუადღევს ჩვენ ფრანგების იერიში მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. გიზის დასავლეთით მტერი შეეცადა იერიში წამოსვლას, მაგრამ ჩვენი ცეცხლით შევაჩერეთ. ლაონ მარის გზატკეცილის ორივე მხარეზე სუზის სექტორთან პონ ნანის და დასავლეთ პრუიის პოლკებმა დილით ადრე მოიგერიეს მტრის ძლიერი იერიშები.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** 29 ოქტ. სამხედრო ცნობა. აზოლონე პერტიკას და სოლვაროლ ადგილებში დიდი ბრძოლები არ ყოფილა. მონტე სპ. ნეჩის ოლქში ჩვენი ჯარი კონტრ-იერიშით მტრის პოზიციებში შეიჭრა. ბლონობაკანთან მტერმა ჩვენ პოზიცია შეავიწროვა. მტრის განახლებული იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ჰუნგრეთის ქვეითთა პოლკმა 13 და გონვედის პოლკმა 17. პიავესთა ბრძოლა გრძელდება. აქ მტერმა დაა როვა დიდძალი ჯარი და არტილერიის ცეცხლის დახმარებით განაგრძობს შე ტევას. ვალდობიადეიესთან, მურაგო ჩრდილოეთით სერაგმოს, პიავის ხიდი ახლოს, სუსეგანთან, ტეზესთან და პ ლოდი პიავესთან ძლიერი ბრძოლა სწარ მოებდა. შეთანხმების სახელმწიფოთ ჯარმა თუმცა შესძლო ჩვენი პოზიციი გარღვევა, მაგრამ უამისოდაც ჩვ გვქონდა გადაწყვეტილი გადაგვეტ ჩვენი ხაზები იმ სექტორში, სადაც უფ რო ძლიერი იერიშები სწარმოებდა. გადაჯგუფება მოვახდინეთ ღამით.

**ბალკანეთის ფრონტი.** ალბანეთ ჩვენმა ჯარმა დასცალა ალეს ო. დ ნის საზღვართან სიწყნარეა. სერბია ჩვენი უკან დახევა უბრძოლველად სწარ მოებს. მტერმა პალანკას მიაღწია.

**ოსმალეთის ცნობა.**

**სტამბოლი.** 29 ოქტ. დარდანელ ნავი ბრძოლა არ ყოფილა.

**გერმანიის საზავო ნოტა ვილსონისადმი.**

**გერმანიის რადიო.** 28 ოქტ. ვაშინ ტონში. შვეიცარიის საელჩოში. გერმა ნიის მთავრობის დავალებით, გთხოვ ეს ნოტა გადასცეთ ამერიკის შეერთე ბულ შტატების მთავრობას: „გერმანი მთავრობამ საგულისხმოთ მიიღო ამერ კის შეერთებულ შტატების პრეზიდე ტის პასუხი. პრეზიდენტს მოეხსენება ცვლილებათა შესახებ, რომელიც მოხ და კვლავაც ხდება გერმანიის კონს ტუციონურ ცხოვრებაში. სამშვიდო მოლაპარაკებას უხელმძღვანელებს ხალხო მთავრობა, რომელსაც ფაქტი რადაც და კონსტიტუციის ძალით ხელთ უპყრია მთელი სახელმწიფოებრ ვი ძალა-უფლება. მასვე ემორჩილე სამხედრო გამგეობა. ჩვენ ელოდ მო ლით დროებით მორიგების ჩამოგდებ რომელიც მიგვიყვანს სამართლიანი ვის დამყარებამდე იმ სახით, როგო ეს დასახული აქვს პრეზიდენტ ვილსო თავის დეკლარაციებში. საგარეო საქ თა სტატს სეკრეტარი ზოლფი.

**ავსტრო უნგრეთის პასუხი.**

**ვენა** 28 ოქტ საგარეო საქმეთა ნისტრმა გუშინ დაავალა ავსტრია უ რეთის სტოკჰოლმელ ელჩს სთხოვ შვეციის მთავრობას, რათა მან გად ცეს შეერთებულ შტატებს 18 ოქტ. ტის პასუხად შემდეგი: „პრეზიდე ვილსონის მიერ ავსტრია ჰუნგრეთის მართ 18 ოქტ. გამოგზავნილ ნოტის სუხად გაუწყებთ, რომ თანახმა ვა ვილსონის გადაწყვეტილებაზე დაიწყ ავსტრია ჰუნგრეთთან სეპარატიული ლაპარაკება დროებითი მორიგებისა ზავის ჩამოგდების შესახებ. ავსტრ ჰუნგრეთის მთავრობა გაუწყებთ, სავსებით ეთანხმება როგორც წინა, უკანასკნელ ნოტაში ვილსონის გამოთქმულ მოსაზრებას ავსტრია ჰუ რეთის ხალხთა უფლებაზე, გან კუთრებით ჩეხო - სლოვაკებისა

სამხრეთ სლოვიანთა შესახებ. ამ რიგათ, მას შემდეგ, რაც ავსტრია-უნგრეთმა მიიღო პირობის ყველა მუხლი, რომლისგან დამოკიდებულია ზავსა და დროებითი მორიგებაზედ მოლაპარაკების დაწყება, ავსტრია-უნგრეთის მთავრობის აზრით მოლაპარაკების დაწყებას წინ არაფერი ეღობება. ავსტრია-უნგრეთის მთავრობა მზათაა არ დაუცადოს დანარჩენ მოლაპარაკებათა შედეგს და დაიწყოს მოლაპარაკება მოწინაალმდეგე სახელმწიფოებთან დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ ავსტრია-უნგრეთის ყველა ფრონტზე და სთხოვს პრეზიდენტ ვილსონს შესაფერი ზომები მიიღოს“.

**მოკავშირე სახელმწიფოთა გეგმა.**

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირენი არ გამოაქვეყნებენ ზავის პირობებს იმ დრომდე, სანამ გერმანია არ გაგზავნის პასუხს ვილსონის უკანასკნელ ნოტაზე.

## სახალხო სახლის გარშემო

ქართ. სახალხო წარმ. მმართველი წრის გამგეობის მიერ 20 ოქტომბერს მოწვეული იყო საზოგადო კრება. გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავათ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზისა 1917—18 წელს სეზონი მაინც დამთავრებულ იქნა. მართალია, წრის საუკეთესო ძალები სხვადასხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მუშაობდენ და წარმოდგენებში სისტემატიურათ მონაწილეობას ვერ იღებდენ, მაგრამ მაინც წარსულ სეზონებთან შედარებით საქმე არც ისე ცუდათ ყოფილა. დადგმულა სულ 35 წარმოდგენა, დასწრებია 19496 მსმენელი, საშუალოდ 557, შემოსავალი ყოფილა 19203 მან. და გასავალი 17903 მ. და 63 კ. რათა საქმე უფრო სათანადოთ იყოს დაყენებული, კრებაზე გამოითქვა სურვილი რომ გამოიძებნოს საღარი, რათა შექმნილ იქნას მუდმივ მსახიობთა დასი, რომელიც სცენის-მოყვარეთა დახმარებით შეეცდება გააუმჯობესოს წარმოდგენების დადგმის საქმე, ყურადღება უნდა მიექცეს წარმოდგენების მხატვრულ მხარეს და რეპერტუარს. „წრის“ მეთაურს დაევალა გადასდგას სათანადო ნაბიჯები და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა მატერიალურ დახმარებისათვის, რაც შეჭირებიან კიდეც. კრებაზე გამგეობის მიერ აღნიშნული იყო შემდეგი სამწუხარო ფაქტი: გამგეობის წევრს და რეჟისორს კ შათირიშვილს დაუდვია რა პირობა 1918—19 წ. სეზონის წინამძღვრობისა, მიუღია მხურვალე მონაწილეობა სეზონის მზადებაში. თურმე ამავე დროს მოლაპარაკება უწარმოებია „სტუდიის“ ხელმძღვანელებთან და იქ შეუძლევიათ რა მეტი ჯილდო, ორი წარმოდგენის შემდეგ განაცხადა გამგეობაში, რომ შინაური საქმეებისა გამო აღარ ძალუძს „წრეში“ მუშაობა და „სტუდიას კი ესტუმრა რეჟისორად!

კარგი იქნებოდა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს მსახიობთა კავშირმა და „სტუდიის“ მეთაურებმაც, შეუძლებელია მათ არ სცოდნოდათ, რომ შათირიშვილი რეჟისორია „წრისა“ და ასე გულგრილათ მოპყრობა სახალხო სახლისადმი უმართებულოა. რეჟისორის საკითხი „წრისათვის“ ჯერაც გამოურკვეველია და წარმოდგენები კი მიდის,—რა თქმა უნდა, სუსტად. ახალ გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ნ. გოცირიძე. სოფ. ტარუაშვილი, სანდალა, თოდრია, გუნცაძე, ნ. ჭანკვეტაძე და კ. სალარაშვილი.

გამგეობა მხურვალედ მოეკიდა საქმეს და მომავალი დაგვანახვებს მის უნარს და საქმიანობას. ნ. ჭ.

## კავკასიის ერები საზავო კონფერენციაზე

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აძერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში მიმართა შემდეგი წერილით:

მსოფლიო ომი თავდება და ეჭვი არაა, ახლო მომავალში დადგება ისეთი მომენტი, როცა საერთაშორისო კონგრესზე გადიჭრება საერთოთ ხალხების და კერძოთ კი ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ ერების ბედი. ამ კონგრესის წინ ხალხები ამიერ-კავკასიისა და მთელი კავკასიაც მზათ უნდა იყვენ გამოვიდენ თანხმობით და სოლიდარულათ, რადგანაც მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მათ, როგორც პატარა ხალხებს და ახალ სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ექნებათ ძალა და მნიშვნელობა.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამის შესახებ არა ერთხელ გაგვიმართავს მოლაპარაკება თქვენთან და თქვენს მთავრობასაც კატეგორიული სურვილები გამოუთქვამს ამ საკითხის დადებითად გადაჭრაზე, რაც გამოიხატა ბაქოში ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელთან მოლაპარაკებაში, მე ვფიქრობ, რომ უკვე დადგა მომენტი, როცა ამიერ-კავკასიის და კავკასიის ხალხთა მთავრობები, განიმსჭვალებიან რა ურთიერთი ნდობით, პატივისცემით და ურთიერთისავე ცნობით, დახმარებით უნდა მიჰყონ ხელი ამ კითხვის—მომავალ სამშვიდობო საერთაშორისო კონგრესზე სოლიდარულად გამოსვლა—პრაქტიკულად გადაჭრას, რომ ყველას მიერ ცნობილ იქნეს რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და, რომ დაცულ იქნეს მათი საერთო ინტერესები. ჩვენი შეკრება საჭიროა აგრეთვე იმისთვისაც, რომ გადაჭრილ იქნას ყველა სადავო კითხვები—მათ შორის, კითხვა საზღვრების შესახებ—დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით და თუ ეს შეთანხმება არ მოხდა არბიტრაჟის საშუალებით და რომ გამომუშავდეს ურთ ერთ შორის ვალდებულებანი, რომ არც ერთი რესპუბლიკა არ შეეკრას რომელიმე სხვა სახელმწიფოს კავშირით, რომელიც კი მიმართული იქნება ამ კონფერენციაზე წარმოდგენილ რომელიმე ხალხის წინაალმდეგ.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს აძერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას, აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობას, წინადადებით: შეიკრიბნენ კონფერენციაზე თფილისში, 10 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში (ერმოლოვის ქ. № 9), გამოგზავნით რა ამ კონფერენციაზე ორ ორ წარმომადგენლებს სათანადო კანონიერი რწმუნებებით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ კონფერენციაზე გადასაჭრელად გადასწყვიტა დასვას შემდეგი კითხვები:

1) ურთიერთ შორის ცნობა დამოუკიდებლობისა იმ სახელმწიფოების, რომლის მთავრობებიც წარმოდგენილ იქნებიან კონფერენციაზე.

2) გადაჭრა ყველა სადავო კითხვების,—მათ შორის საზღვრების შესახებ,—დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით და თუ ეს შეთანხმება არ მოხდა,—არბიტრაჟის საშუალებით.

3) ურთიერთ შორის ისეთ ვალდებულებათა გამომუშავება, რომლის ძალით არც ერთ რესპუბლიკას უფლება არ ექნება შეეკრას რომელიმე სახელმწიფოს კავშირით, რომელიც კი მიმართული იქნება კონფერენციაზე წარმოდგენილ რომელიმე ხალხის წინაალმდეგ; 4) სოლიდარული ურთიერთის დახმარებით, გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე, რომ ცნობილ იქნას რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და დაცულ იქნას საერთო ინტერესები.

თქვენი პასუხი გთხოვთ წინდაწინ შემატყობინოთ“.

## სომხეთის საკითხი ოსმალეთში

ოსმალური გაზეთი „ვაკიტში“ (სტამბოლში გამოდის) მოთავსებულია ახმედ ემინ ბეის წერილი, სომხის სამშვიდობო დელეგაციის იქ ყოფნის დროს. ის სწერს:

„უკვე რამდენიმე თვეა რაც ახალი სომხეთის მთავრობის დელეგატები სტამბოლში იმყოფებიან. დელეგატებს, რომლებიც არჩეული არიან სომხეთის განათლებული და ინტელიგენტ ნაწილებიდან, ეჭვი არ არის, დიდი გავლენა ექნებათ თავიანთ თანამემამულეთა შორის. მათი მიზანია გამოასწორონ ბათუმში დადებული ხელშეკრულობა სომხეთის საზღვრების შესახებ, რომელიც შექმნილია რუსეთის ტერიტორიაზე და ეს ახალი საზღვრები გაამაგრონ ახალი ხელშეკრულობით.

ეს დელეგატები მუდამ იმ აზრისა იყვენ, რომ კითხვა, რომელიც ეხება ოსმალეთის სომხობას, ოტომანის მთავრობის უფლებაში შედის.

სომხის მთავრობის—სომხის ხალხზე გავლენა ჩვენ აშკარად დავინახეთ. ანდრანიკის ჯარი გაფანტულ იქნა. ბაქოს სომხებმა უარი განაცხადეს ქალაქის დაცვაში მონაწილეობის მიღებაზე. ინგლისის გაზეთები სომხების ასეთ საქციელს აწერენ ბაქოს დაცემას.

ასე რომ, თუ დელეგაცია, რომელიც მუდამ პირდებოდა კითხვების მალე გადაწყვეტას, თავის სამშობლოში ცარიელი დაბრუნდება, ჩვენ მოკლებული ვიქნებით ყოველგვარ საშუალებას სომხის საკითხი სასურველათ გადავჭრათ. თუ ჩვენ შევთანხმდებით სომხეთის მთავრობასთან და შევქმნით მასთან მეგობრულ განწყობილებას, მაშინ საზავო მოლაპარაკების დროს ჩვენ უფლება გვექნება ვუთხრათ მათ, რომელნიც მოინდომებენ ჩვენ წარსულს გადახედონ და სამწუხარო მოვლენები გვითხრან: „ვინა ხართ თქვენ? ჩვენ უკვე შევთანხმდით სომხებთან. წარსული შეიქნა დამღუპველი პოლიტიკის შედეგად, რომელიც არ ეთანხმებოდა დროს. მაგრამ ყველა ეს უკვე გათავდა და ეხლა კი ჩვენ და სომხის მთავრობა ნამდვილი მეგობრები ვართ. ამის დამამტკიცებელია ის ხელშეკრულობა, რომელსაც ჩვენ და სომხის მთავრობამ ხელი მოვაწერეთ“.

მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა ასეთი მშვენიერი შემთხვევა ამ კითხვის სასურველად გადასაჭრელათ, ხელიდან გაგვეშვა. წინაალმდეგ შემთხვევაში ეს კითხვა საზავო კონგრესზე ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობისათვის არა სასურველ მიმდინარეობას დაიჭერს“. (კ. ს.)

## საქართველოს მზეს...

შენ დღეს ამოდი და თუმცა ჯერ ვერ ბრწყინავ ძალზე,
მკრთალი ხარ, მკრთალი, გარს გარტყიან ღრუბელთ გუნდები,—
ჩვენ მაინც გვხიბლავ, სიხარულის ცრემლებს გვგვრი თვალზე:
აშკარათ ვხედავთ—იმსხვრევიან შავი ხუნდები.
გაიკაშკაშე, შორს გატყორცნე სხივთა კონები,
დე იგრძნოს ყველამ, რომ არა ვართ ისევ მონები!

—

შენ ხომ შეგმოსა, ჩემო კარგო, ნანატრმა სხივმა,
სხვებსაც მოჰფინე ის დიდება შუქ სხივოსანი...
დე ვერ იხაროს შენს სხივებს ქვეშ სუსხმა ფრთა-ცივმა
დე აჰიკჰიკდეს შენი ეზხით ტკბილათ მგოსანი:
მაშინ იქნება სრულ ყოფილი დიდება შენი!
მაშინ ვიხარებთ კმაყოფილნი ჩვენც, შენი ძენი!

ვ. რუხაძე.

## იუსტიციის სამინისტროში

**კვლევა ძიების ქართულად წარმოება.**

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების გაცემა იმის შესახებ, რომ მილიციის მოხელეებმა ქართულად აწარმოვონ კვლევა-ძიება (дознаніе), ვინაიდან უკანასკნელი მჭიდროდ დაკავშირებულია საქმის წინასწარ გამოძიებასთან, რის შესახებ უკვე განკარგულება გაიცა გამომძიებელთადმი, რომ ქართულად იწარმოებოდეს.

**სასამართლოს უწყების კანცელარიების გაეროვნება.**

თფილისის სასამართლოს პალატის უფროსს თავმჯდომარეს და პროკურორს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ განკარგულება მოახდინონ, რათა ყველა მათ ხელქვეით დაწესებულებათათვის საჭირო ბლანკები, ფორმები, წიგნები და სხვ. ამიერიდან მხოლოდ ქართულად იბეჭდებოდეს.

**საგანგებო სასამართლოში.**

თფილისის საგანგებო სასამართლოს სხდომები ამ დღეებში დაიწყება. პირველად გაირჩევა საქმე ოსიპ სარქისოვისა, რომელსაც ბრალდება მაშედ იზმაილოვის გაძარცვა. დამნაშავეს ბრალდების ოქმი უკვე ჩაბარდა.

**საქართველოს იურიდიული საზოგადოების წესდება**

დაამტკიცა თფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილებამ. საზოგადოების დროებითი გამგეობას შეადგენენ: დ. კვირკელია (თავმჯდომარე), გ. ჩაჩიბაია (თავმჯდომარის ამხანაგი), გ. ჟორდანია მდივანი, ი. ყიფშიძე, ა. ბებურიშვილი, ს. ჩხეიძე და ა. ახნაზაროვი (ხაზინადარი).

**სერგიევსკის საქმე.**

14 ნოემბერს თფილისის სასამართლო პალატაში ირჩევა საქმე თფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის ყოფილ თანაშემწის სერგიევსკისა, რომელსაც ბრალდება ქრთამის აღება. სხვა მოწმეებთან ერთად დაბარებულია იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი მესხიშვილი.

## ყვირილელი ფედერალისტები

საერობო არჩევნების კამპანია რომ იწყებოდა, იმ თავითვე ეტყობოდათ მათ ძლიერი მადა ადგილების განაწილებაზე. ადგილობრივმა სოც.-დემოკრატიულმა კომიტეტმა გადასწყვიტა სოციალისტურ პარტიებთან შეერთებულად გამოსულიყო ერობის არჩევნებში. საერთო საარჩევნო კომისიაში კომიტეტს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები ფრაქციის სახით, და იქ, კომისიაში, როდესაც მოლაპარაკება გაიმართა ადგილების განაწილების შესახებ, ჩვენ, ფრაქციის წევრნი შევთანხმდით უკანასკნელ სხდომაზე, რომ ფედერალისტებისთვის მიგვეცა ათი ადგილი. რამდენათ მოგებულნი იყვნენ ფედერალისტები ამ ადგილების მიღებით, ეს ყველასათვის აშკარაა. შორაპნის მაზრაში მათი ძალები რა დიდ არმიას წარმოადგენენ, ეს თითონაც კარგათ მოეხსენებათ. პირიქით, მათთან შეერთებით ჩვენ დავკარგეთ ხმები. ასე თუ ისე, ფედერალისტები გავიტანეთ ჩვენი ზურგით და ცალკე რომ გამოსულიყვნენ ათ ადგილს კი არა, ვერ მიიღებდენ ვერც ხუთს. ამას არ დასჯერდენ, ჯერ ქალაქ ყვირილის ხმოსნად უნდოდათ თავისი კაცი გაეყვანათ. ჩვენ ამაზე არ დავთანხმდით იწყება 13 ოქტომბერს საერობო ხმოსნების საერთო ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარე. ჩვენმა ფრაქციამ თავმჯდომარეთ დაასახელა ამხ. პოლ. გოგიაშვილი და თავმჯდომარის ამხანაგად კ. საყვარელიძე. ეს გადაწყვეტილება ვაცნობეთ სოც.-ფედერალისტების ფრაქციას და თან შევუთვალეთ, რომ მათ ფრაქციას მიეცა გამგეობაში ორი კაცი გამგეობის წევრად. იწყება გაბუტვა, ქუჩა ქუჩა ჩურჩული, თუ როგორ გადაწყვეტა ასეთი რამ სოც.-დემ. ფრაქციამ! გადის რამოდენიმე საათი. ჩვენი დელეგაცია ბრუნდება სოც. ფედერალისტებიდან შემდეგი ნაკაზით: თუ მოგვცემთ თავმჯდომარის ამხანაგის ადგილს გამგეობაში, მაშინ ხმას ვაძლევთ თქვენს თავმჯდომარის კანდიდატურას. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვიკავებთ და არჩევნებში მონაწილეობას არ ვღებულობთო. ჩვენი ფრაქცია ასეთი მუქარის შემდეგაც თავის გადაწყვეტილებაზე დარჩა. ამით, რასაკვირველია, ფედერალისტების უკმაყოფილება დავიმსახურეთ. იწყება ყრილობის სხდომა. თავმჯდომარე აცხადებს დღიურ წესრიგის იმ მუხლს, სადაც ერობის თავმჯდომარის არჩევის საკითხი სდგას. ჩვენი ფრაქცია ასახელებს პ. გოგიაშვილის კანდიდატურას. ფედერალისტების ბანაკიდან მწუხარე სიჩუმეა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, სკამიდან დგება მათი ფრაქციის ლიდერი ტ. თაბუკაშვილი და აცხადებს შემდეგს: სოც.-ფედერალისტების პარტია გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებში თავს იკავებს და ამით ყოველივე პასუხისმგებლობას მომავალ ერობის გამგეობის მოქმედებაში თავიდან იხსნის. ამ რიგად, გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობას არ ვღებულობთო.

კითხვას ნიშნებათ გადავუქცევთ! რათ ულალატეთ ლოღიკას? თავმჯდომარის ამხანაგის ადგილი რომ მიგეღოთ, მაშინ ხომ დიდ ნდობას გამოუცხადებდით ჩვენ პარტიულ კანდიდატურას თავმჯდომარის ადგილზე! მაგრამ უკაცრავად თუ არ ვიქნებით, ნება მოგვეცით გითხრათ, რომ თქვენი თავის შეკავება და პასუხის მოხსნა ერობის გამგეობაში არ არის გულ წრფელი განცხადება, ეს არის, უბრალო, პარტიული ქიშპობა და არა გულ-წრფელი შიში ერობის საქმეების ღირსეულად დაყენებისადმი. თავმჯდომარის ამხანაგის ადგილი რომ მოგვეცა თქვენთვის, ამით ხომ არსებითათ არ შეიცვლებოდა ჩვენი კანდიდატის თვისებანი. ის ისევ ისეთი დარჩებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ საქმის სიყვარულით მოგივიდათ ხმის მიუცემლობა. განა ამით პასუხისმგებლობას იშორებთ თავიდან? გამგეობაში ხომ დაგეთმოთ ორი ადგილი გამგეობის წევრის სახით. განა გამგეობის წევრები თავისუფალნი არიან პასუხისმგებლობისგან? ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ნუ ლაპარაკობთ იქ თქვენ გულწრფელობაზე, სადაც თქვენს არა გულწრფელობას აქვს ადგილი.

დაარღვიეთ ბლოკი უადგილო პარტიული თავმოყვარეობით, მოითხოვეთ ის, რისი მიღებაც არ შეგეძლოთ და შემდეგ უნდობლობა გამოგვიცხადეთ! ამაზე იტყვიან: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო X.

## რუსეთის ცხოვრება

**საბჭოთა მთავრობის ტერორი.**

ურიცკის მოკვლის და ლენინზე მოკვლის განზრახვით დაცემის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ შემოიღო სისტემა ტერორისა, რომლის ძალით ყოველ დღე ხვრეტდნენ სხვადასხვა პირებს, სხვადასხვა დანაშაულობისათვის. იმის გამო, რომ ბრძოლა საბჭოთა მთავრობის მტრებთან უფრო გაადვილებულიყო, შემოღებულ იქნა კონცენტრაციული ბანაკები, სადაც ინახავდნენ მძევლებს სხვადასხვა კლასებიდან და ჯგუფებიდან. ამასთანა ბანაკში ქ ნიჟნი ნოვგოროდში ითვლებოდა 50,000 კაცი, მოსკოვში—2 000, პეტროგრადში რამდენიმე ასი კაცი. ამათში ბევრი იყო დიდი მოხელეები: ბელეცკი, ხვოსტოვი, პროტოიერეი ვოსტორგოვი, ჟანდარმების როტმისტრი განკო, მაკლაკოვი, მაკაროვი, ჯუნკოვსკი, კოკოვცევი, შახოვსკოი, პალჩინსკი, და მრავალი სხვა შავრაზმელები. კონტრ რევოლიუციაში მონაწილეობისთვის ბევრია დახვრეტილი და სხვათა შორის ცნობილი შავრაზმელების ლიდერი, პუბლიცისტი მენშიკოვი.

**პროტესტები ტერორის წინაალმდეგ.**

ბელგოროდი, უ. დ. ს. 24 სექტემბერი. მოსკოვიდან მოსული ცნობებით ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია მასიური დახვრეტის წინაალმდეგ მიმართულ პროტესტების გარჩევამ. ლარინი რასკოლნიკოვი და ცურიუპა მოითხოვდენ დახვრეტის შეწყვეტას და დარჩენილებათვის ამნისტიის გამოცხადებას, ტროცკი, ბარზინი პეტერსი მოითხოვდენ ტერორის ბოლომდე მიყვანას.

**უმაღლესი ტრიბუნალი.**

უმაღლესი ტრიბუნალის საგამომძიებლო კომისიას გადაეცა საქმე ეგრედ წოდ. „მუშათა კონფერენციის“ შესახებ. ამავე კომისიას გადაეცა მემარცხენე ს. რ. საქმე.

**ბოლშევიკების ზარალი.**

კაზანთან ჩეხო-სლოვაკებთან ბრძოლის დროს დაიღუპა აუარებელი რიცხვი კომისარებისა, აგიტატორებისა და სხვადასხვა სამხედრო ნაწილთა უფროსებისა. ჯარი მოითხოვდა მათ პირველ რიგში ბრძოლას.

**საალყო წესები რკინის გზებზე.**

ბელგოროდი. 25 სექტ. უ. დ. ს. საბჭოთა რუსეთის რკინის გზებზე გამოცხადებულია საალყო წესები. რკინის გზის ჯვარედინებზე ინიშნებიან კომისარები განსაკუთრებულ უფლებებით.

**ციხიდან გაქცევა.**

კურსკიდან იტყობინებიან, რომ ბუტირის ციხიდან გაიპარა 5 მემარჯვენე ესერი.

**არჩევნები თვითმართველობებში ვოლგის მხარეზე.**

„ზნამია ტრუდოვოი კომუნი“ 11 სექტემბრის თარიღით იტყობინება, რომ სიმბირსკის ქალაქის თვითმართველობაში არჩევნების დროს ესერებმა მიიღეს 11 ალაგი, სახლის პატრონებმა და მრეწველებმა 16, [illegible] კავშირმა 9, პროფესიონალურმა კავშირებმა 8, კადეტებმა 6. სამარის ქალაქის საბჭოში არჩევნების დროს გაიმარჯვა ზომიერ სოციალისტების ბლოკმა. მთელ ციმბირში და ვოლგის მხარის ზოგიერთ მაზრებში გამარჯვება მუდამ კადეტების და მონარქისტების მხარეზეა.

**ბელორუსიაში.**

მინსკი, უ. დ. ს. გერმანელების მიერ დაცლილ ადგილებში მოგილიოვის და ვიტებსკის გუბერნიებში სდგება ბელორუსთა სამხედრო დრუჟინები, რომელთა მიზანია ბოლშევიკების ამ ადგილებში არ შეშვება.

## მუშათა შორის

**პარიკმახერებში.** პირველ კლასის საპარიკმახეროებში მუშაობა შემცირდა. განსაკუთრებით წარმოუდგენლათ შემცირდა ქალთა განყოფილებაში.

მიზეზი? ინტელიგენცია, მცირედის გამოკლებით, მატერიალურათ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. და უმთავრესად ამ წრის ხალხი დადიოდა და დადის პირველი კლასის საპარიკმახეროებში.

ამ გარემოებას კავშირმა დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

წვრილ სახელოსნოებში მომუშავე შეგირდების მდგომარეობა აუტანელია.

საერთო დადგენილების თანახმად საპარიკმახერო სადალაქოები უნდა იღებოდეს დილის 9 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 7—8 საათზე, ორი საათის გამოკლებით (სადილის დრო). ნამდვილათ კი ეს ასე არ არის. თითო ოროლა საპარიკმახერო თუ იღებ იკეტება დადგენილების თანახმად. „ხაზეინთა“ უმრავლესობა კი თავიანთ მაღაზიებს აღებენ დილის 8 ს. და ჰკეტავენ 9 საათზე.

შეგირდი, მცირე წლოვანი, მოვალეა ერთი საათით ადრე მოვიდეს და სახელოსნო დაალაგოს. საღამოსაც ამდენივე უნდა დაიგვიანოს.

სადილობის დროს, ორი საათით დასვენებით, რომლითაც ყველა უნდა სარგებლობდეს, შეგირდები არ სარგებლობენ, რადგანაც სახელოსნოები არ იკეტება. და შეგირდებიც მოვალენი არიან დუქანში იყვნენ. ასე, რომ მცირე წლოვანები მუშაობენ 15 საათს. და ეს იმ დროს, როცა მოზარდები უნდა მუშაობდნენ 6 საათს.

15 საათი მუშაობა, ჩაუცმელობა, უჭმელობა, ლანძღვა გინება—აი სადალაქოების შეგირდთა ხვედრი. ვინ აქცევს ყურადღებას? მუშები? სრულებითაც არა. მუშების უმრავლესობა ისევე ბატონობენ ბედის ამარა მიტოვებულ ბავშვებზე, როგორც „ხაზეინები“. წარმოიდგინეთ, ერთერთმა „ხაზეინმა“, რომელსაც მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს, წარმოადგინა კონტრ მოთხოვნილება, სადაც სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „მუშებს არ ჰქონდეთ უფლება შეგირდი ამუშაონ თავიანთ სურვილის თანახმად, ამასთანავე ზრდილობიანათ მოეპყრანო“. დრო არის კავშირმა ყურადღება მიაქციოს შეგირდებს. რისხვა.

## ს.-დემ. პარტიაში

**გორის მაზ. ს.-დ. მ. პ. ორგ. დელეგატების მე-2 ყრილობა [illegible] ხაშურში.** 20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რკინ[illegible]რის სოციალდემოკრატიულ დელეგატების ყრილობა. კრებას ხსნის ამხანაგი ნიკიფორე იმნაიშვილი, რომელიც მიესალმა ყრილობას. სიტყვის დასრულებისას შემოაქვს წინადადება გაეგზავნოს დეპეშა ნ. ჟორდანიას, რომელშიაც გამოსთქვამენ სრულ ნდობას და აღუთქვამენ ყოველნაირ დახმარებას ხალხის საკეთილდღეოთ. ყრილობა დიდის ოვაციებით შეხვდა ამ წინადადებას.

ამის შემდეგ ხაშურის პარტიულ ორგანიზაციის სახელით მიესალმა ვ. ზაქარეიშვილი, ქალაქის თვითმართველობიდან ქალ. თავი სულიაშვილი, გვარდიის სახელით ესალმება ნიკო სიხარულიძე, გორის ს.-დ. განახლებულ ორგანიზაციებიდან შაქრო ჯავახიშვილი და გამოსთქვამს სურვილს, რომ ჩვენმა პარტიამ ყოველივე დახმარება გაუწიოს გლეხებს მიწის საკითხის გადაწყვეტაში.

იმნაიშვილის წინადადებით ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი. გამოცხადდა 48 დელეგატი. დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვებია: 1) ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების შესახებ; 2) მომენტის შესახებ; 3) მოხსენება ადგილებიდან; 4) სამაზრო ერობის თვითმართველობა; 5) განხილვა დიდი ყრილობის დღიურ წესრიგისა; 6) სამხედრო საქმეები (გვარდია, მობილიზაცია); 7) პარტიული ორგანიზაციების გამრავლება და თავის მოყრა; 8) კულტურული მუშაობა სოფლად; 9) ადმინისტრაციის მოწყობა; 10) მიწის საკითხი და 11) ცენტრის არჩევნები.

მაზრის ცენტრალურ კომიტეტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. იმნაიშვილი. მოხსენების შემდეგ ყრილობამ უკამათოთ მიიღო წარდგენილი რეზოლიუცია. შემდეგ იწყება მოხსენებები ადგილებიდან.

ნიკო სიხარულიძე აკეთებს მოხსენებას ხაშურიდან. მოხსენებას აკეთებენ 25 საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელნი. დელეგატები მოითხოვდენ, რომ საჭიროა სოფელში თითო მომზადებული, პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. საჭიროა პროპაგანდისტები მუდმივათ ხალხთან იყვნენ და არა ერთი-ორი კრების და მიტინგის მოწყობით კმაყოფილდებოდენო. ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: 1) მთავარი ყურადღება მიექცეს პარტიულ მუშაობას, ვინაიდან ის არის საფუძველი ყველა დანარჩენ საქმიანობისა; 2) მოეწყოს ყველ საზოგადოებაში და სოფლებში პარტიული ორგანიზაციები და დაუკავშირდეს ისინი ერთმანეთს და ყველა ისინი ცენტრს; 3) წინადადება მიეცეს ცენტრ. კომიტეტს და სასოფლო კომისიას თითო პასუხისმგებელი პროპაგანდისტი მაინც ყავდეს თითო რაიონში; 4) წინადადება მიეცეს ადგილობრივ ამხანაგებს აამოძრაონ თავიანთი ძალები პასუხისმგებელ პროპაგანდისტების დასახმარებლათ. ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების შესახებ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„გორის მაზრის ს.-დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეორე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მაზრის ცენტრ. კომიტეტის მოხსენების შესახებ, მოიწონა კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი, უცხადებს მადლობას მის შემადგენლობას და გადადის მორიგ საკითხზე.

თფილისიდან ორშაბათის კრებაზე დეპეშა მოვიდა, რადგანაც პასუხის მგებელი ამხანაგები აქ არ არიან, ამისათვის ვერავის ვგზავნითო. საკითხი ერობის შესახებ დროებით გადაიდო. ამხ. გოგუა აკეთებს მოხსენებას ცენტრ. სამაზრო კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ: შემოსულა სასოფლო კომისიისაგან 13850 მ., ყოფილი ცენტრ. კომიტ. მოლარე ამხ. ჟორდანიასგან 351 მან. 18 კ; შემოწირულება 15 მან., სულ 14,216 მან. 18 კ; გასავალი 14678 მ. 20 კ. ვალათ დარჩა 462 მან. 2 კ.

ამხ. ჯავახიშვილი აკეთებს მოხსენებას მიწის რეფორმის შესახებ. კამათის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: მიექცეს მთავრობის ყურადღება, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში მიწის რეფორმები შემდეგი სახით: მიეცეს საშუალება გლეხკაცობას გამოისყიდოს მიწა შეღავათიან პირობებში, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში გრძელ ვადიან სესხით. ღარიბებს გლეხებს მიეცეს სრულიათ უსასყიდლოთ. მოწვეულ იქნას რაიონული თათბირი მიწის საკითხის მოსაგვარებლათ და კანონის მეორე ნახევრის შესახებ აზრის დასამუშავებლათ.

ერობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. იმნაიშვილი. ყრილობა ერთხმად ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: დაუყონებლივ დაწყებულ იქნას საერობო მუშაობა, ახლო მომავალში დაინიშნოს სესია გორის მაზრის საერობო თვითმართველობისა და გამგეობაში პარტიამ

წამოაყენოს ენერგიული და მცოდნე პირები. დაისვა კითხვა თუ როდის უნდა იქნეს მოწვეული ერობის თვითმართველობის სესია. ხმის უმრავლესობით გადაწყდა მოიწვიონ ათ ნოემბერს.

თავმჯდომარე ნ. იმნაიშვილი ვრცელ მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელ კრების შესახებ. ყრილობა ამტკიცებს დამფუძნებელ კრებისათვის წარდგენილ კანდიდატებს.

სოლქო კომიტეტის წევრებათ ყრილობა ამტკიცებს ნ. იმნაიშვილს და მინაზაროვს.

ამხ. მარიამიძე აკეთებს მოხსენებას გვარდიის შესახებ. მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „გორის მაზრის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციათა, წარმომადგენლების მეორე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გორის მაზრის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბის წარმომადგენლისაგან, ყრილობა აღიარებს, რომ სახალხო გვარდია ეს ერთად ერთი საიმედო რევოლიუციონური ძალა ამ ჟამათ, რომელიც შეუპოვრად იცავს რევოლიუციას და თავისუფლებას ყოველგვარ საფრთხისაგან, ყრილობა იმედოვნებს, რომ სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი ორგანიზაციები თავიანთ მთავარ ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ სახალხო გვარდია შედგენდეს შეგნებულს და ზნეობრივათ ფხიზელ, სამხედრო საქმეში ზედმიწევნით გაწრთვნილ ძალას, ყრილობა ადგენს, რომ სახალხო გვარდიამ თავისი პირვანდელი სახე აუცილებლათ შეინარჩუნოს, არ უნდა გადაიქცეს მუდმივ შეიარაღებულ ძალათ.

23 ოქტომბრის კრებაზე ამხ. ახალაძე აკეთებს მოხსენებას მომენტზე. ყრილობამ უკამათოთ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება მომენტის შესახებ, ყრილობა ადგენს: მთავრობამ შეძლო რამდენათაც შესაძლებელი იყო რევოლიუციის ხანაში მოწესრიგება, როგორც შინაური სახელმწიფო აპარატის მოწყობა გაუმჯობესობა და კავშირის შექმნა, მიუთითებს რა მეტი სისასტიკის აუცილებლობაზე ჩვენის დამოუკიდებლობის და ხალხის მტრებთან ბრძოლაში, ვიღებთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აღუთქვამთ ყოველივე დახმარებას.

ამხ. იმნაიშვილი აკეთებს მოხსენებას პარტიულ ორგანიზაციებზე. ყრილობამ უკამათოდ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) მიქცეული იქნას მთავარი ყურადღება პარტიულ ცენტრალურ დაწესებულებაზე, რომ შექმნილ იქნას ერთნაირი კადრი პარტიულ მუშაობისა, რომლებიც უხელმძღვანელებენ პარტიულ მუშაობას ცალკ ცალკე საპასუხისმგებლო ადგილებში და მაზრებში. 2) მიქცეულ იქნას დიდი ყურადღება პარტიულ ლიტერატურის გამოცემაზე ქართულ ენაზე. 3) გამოიცეს ყოველკვირეული სამეცნიერო პარტიული ჟურნალი. 4) შექმნილ უნდა იყოს თფილისში პარტიულ მომუშავეთა მოსამზადებელი პარტიული სკოლა და პროვინციებისათვის მოძრავი კურსები; 5) გამოცხადდეს ჩვენი პარტია საქართველოს სოც.-დემ. პარტიათ. გორის მაზრაში პარტიულ მუშაობის შესახებ ყრილობა ადგენს 1) მაზრის ყველა საზოგადოებაში მოეწყოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დაუკავშირდებიან მაზრის ცენტრალურ კომიტეტს ორგანიულად. წინადადება მიეცეს ყველა ამხანაგებს მიიღონ ენერგიული ზომები პარტიულ გაზეთის გასავრცელებლად.

ამხ. მელიქაძე აკეთებს მოხსენებას პარტიულ მუშაობის შესახებ სოფლად. ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:—მიექცეს ყურადღება ხალხში სწავლა-განათლებას და ამ მიზნისთვის რაც შეიძლება დაჩქარებით შემოღებულ იქნას სავალდებულო, უფასო პირველ დაწყებითი სწავლა, რისთვისაც დაჩქარებით უნდა მომზადებულ იქნას საჭირო კადრი მასწავლებლებისა. გახსნილ იქნას ყველა სოფლებში სასწავლებლები და და სამკითხველოები. დიდებისთვის დაარსებულ იქნას საკვირაო სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები და მიექცეს საზოგადოთ ყურადღება ყოველივე კულტურულ დაწესებულებების გავრცელებას.

ამხ. ნიკო სიხარულიძე აკეთებს მოხსენებას თუ, როგორ უნდა მოეწყოს ადმინისტრაცია, ბრძოლა დეზერტირობასთან და იარაღის აყრა. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: პარტიამ უნდა იზრუნოს, რომ პერსონალი კომისრებისა და მილიციონერებისა შესდგებოდეს პატიოსანი ელემენტებისაგან და თუ ამ დარგში შეგვეპარება ესა თუ ის შეუფერებელი პირი, პარტიულ ორგანიზაციებს ევალება მოხსნან ასეთები. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციებს გადაიტანონ თავიანთი მუშაობა სოფლებში, რათა არ ექნეს ადგილი დეზერტირობას და წესიერად ჩატარდეს მობილიზაცია.

ამხ. ნ. იმნაიშვილი აკეთებს მოხსენებას პროფესიონალურ ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია: ყრილობა აღიარებს, რომ პროფესიონალური ორგანიზაციების მოწყობის საქმე მაზრაში ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია გასწორებულ იქნას ეს დიდი ნაკლი და ქალაქებში (გორში, ხაშურში, ბორჯომში და სურამში) და დიდ დაბებში დაწესებულ იქნას მუშათა, მსახურთა და ხელოსანთა ეკონომიურად დარაზმვა ორგანიზაციებში, რომლნიც იკისრებენ შრომის სახელმწიფო კანონების თანახმად დაცვას და მუშათა მასის კულტურულათ და გონებრულად წინ წაწევას. ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ პროფესიონალურ ორგანიზაციების შექმნას სხვადასხვა დარგებში და დაუკავშირონ ისინი ჩვენს პარტიულ მუშაობას.

მ. პატარიძე.

# პროვინცია

**ჩუმლაყი** (სიღნაღის მაზრა). **ამერიკული ვაზის სანერგის გაძარცვა.** 1918 წელს, 16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე 5 შეიარაღებული კაცი ვინტოვკებით და რევოლვერებით სათითაოდ გამოვიდნენ ტყიდან სანერგის ეზოში და მივიდნენ სასმელ წყლის ბოჭკასთან წყლის სასმელად. ამ დროს თვითური მუშები სანერგისა, ჩემი მეუღლე და ორი პატარა ქალ ვაჟი დარჩნენ გარეთ სანერგის ეზოში,—თუ ვინ არიან ისინი, მათმა ხელმძღვანელმა მიპასუხა: „განა თქვენ არ გაგიგიათ, რომ ამ დღეებში ყაჩაღებმა გაიტაცეს მდიდარი ოთაროვის შვილი, თუმცა ის გამოუშვეს, მაგრამ ჩვენ, გურჯაანის მილიციონერები ვართ, დავიჭერთ გამტაცებლებსო". ამ სიტყვების შემდეგ მე ეჭვიც არ შემპარვია, რომ ისინი მილიციონერები არ იყვნენ და რომც ეჭვი შემპაროდა ჩემი მხრივ სროლის ატეხა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან მათში მყოფ ჩემ ცოლშვილს და თვიურებს წუთი სოფლის გამოსასალმებლად და ამ უკანასკნელს, ისევ გაძარცვას ვამჯობინებდი. „რადგან გურჯაანის მილიციონერები არიან ამოვიდნენ და გაჩხრიკონ ოთახები", მომმართა რუსულად ჩემმა მეუღლემ. ასეთი რუსული მომართვა იმათ „ვითომ" იწყინეს, „როგორ, თქვენ რუსულად ჩვენზე ლაპარაკობთ? ალბათ მართლა გყავთ ბოროტ-მოქმედი დამალული, წამოდით ჩქარა ყველანი ზემოთ", მიმართა ეზოში მყოფთ მეთაურმა. ამ სიტყვებით ჩემი ცოლ-შვილი და თვიურები აიყვანეს აივანზე. მე დამიახლოვდა ორი მეთაურთაგანი, იძვრეს ნაგანის რევოლვერები და გამაჩერეს, ჩემს ცოლშვილს და თვიურ მუშებს მიუჩინეს ორი შეიარაღებული დარაჯი, რომელნიც ყოველ მათ განძრევაზე ლანძღვა-გინებით და თოფის კონდახით უმასპინძლდებოდნენ. მე კიდევ რევოლვერ ამოღებული ორი მძლავრი მადგა და ოთახიდან ოთახში მატარებდნენ, საიდანაც მიჰქონდათ თათქმის ყველაფერი, რაც კი გვებადა და რაც კი გვქონდა შეძენილი 18 წლის განმავლობაში. არ დაუტოვებიათ უკანასკნელი ბავშვის სათამაშოებიც კი. ჩხრეკა გაგრძელდა ნახევარი საათი; იმათი წასვლისათანავე წავედი ველისციხეში და იქაურ კომისარს დახმარება ვსთხოვე. 8 საათი იყო, როცა გურჯაანის რაიონის და მაზრის კომისრებს ეს ამბავი დეპეშით ვაცნობე. ველისციხის კომისარი თავის დარაჯებით და სამი ჯარისკაცით გამომყვენ სანერგეში, ინახულეს ყველაფერი, თუ როგორ იყო აფორიაქებული იქაურობა და შემდეგ წავიდნენ ადგილობრივ კომისრის ჩამოსაყვანათ. ჩუმლაყის კომისარი ჩამოვიდა, მაგრამ რადგან მას იმდენი ძალა არ ჰქონდა ყაჩაღებს გამოსდგომოდა, თვითონვე წავიდა რაიონის კომისართან, რომელიც იმ დროს გურჯაანში არ დახვედროდა. მეორე დღეს დილით სოფლის კომისრის მიერ, სოფლის რწმუნებულების თანადასწრებით შესდგა შესაფერი ოქმი, რომლის მიხედვით სანერგე გაუძარცვავთ ფულით და ნივთებით —5,791 მ. სანერგის გამგე კი 13,798 მ. ამავე დღეს მოვიდა რაიონის კომისარი მ. ციციშვილი მილიციონერებით და აგრეთვე აფიცერი ჩოლოყაშვილი თავის ცხენოსან ჯარისკაცთა რაზმით. ინახულეს ყველაფერი და აღმითქვეს ყოველივე დახმარება ბოროტ მოქმედთა აღმოჩენაში. მათ დაპირებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. 21 ოქტომბერს რაიონის კომისრის, მისი მილიციონერების და ჩოლოყაშვილის ჯარისკაცების მიერ სოფელ კოტეხის ვენახებში შეიპყრეს სანერგის დამცველი ერთი ბელადთაგანი გურჯაანელი შაქრო ნიბლაძე, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა 2600 მანეთი ფულათ და ოქრო ვერცხლის ნივთები. მეორე დღეს მაზრის და რაიონის კომისრის დაბარების თანახმათ ვიყავი ს. გურჯაანში. მაზრის და რაიონის კომისრის თანადასწრებით გაიღეს ის ოთახი, რომელშიაც იყო დამწყვდეული ცნობილი შაქრო ნიბლაძე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აშენებდა მუკუზნის განსაკუთრებულ დამცველ რაზმს და ამავე ნიბლაძის წყალობით მუკუზნის სადგურმა რამდენიმე გაძარცვა-აწიოკება იგემა. მის დანახვაზე წარმომიდგა 16 ამ თვის ნანახი სურათი, მომაგონდა მისი და მისი ამხანაგების ყოველ ფეხის გადადგმაზე უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება, უდიერი მოპყრობა მანდილოსან ბაღლებისადმი და ყოველივე ნივთის აღებაზე მათი მრისხანეთ შეკითხვა: „ეს რა არის? ეს რა არის"? და, ჩემ პასუხზედ, თუ არ იცით რათ მიგაქვთ-თქო, მათი გაბრაზება. ყოველივე ამის მომგონი ძლიერ ავღელდი და შემდეგი კითხვით მივმართე პატიმარს: ყმაწვილო, კარგათ დამაკვირდით, იქნებ მიცნობთ თქო. მან ჩემ შეკითხვაზე, ვერ გიცნობო მიპასუხა. მე უპასუხე შენ მოხარშულსაც გიცნობდი და სწორეთ შენ ხარ ჩემი გამძარცველი, რომელმაც სულ ტიტველები დაგვტოვე. როცა გადავედი მის მოქმედების ახსნაგანმარტებაზე, მაშინ მაზრის კომისარმა შემაჩერა და მთხოვა, რომ ეს სიტყვები გარეთ მოგროვებულ ხალხისთვის მითქვა; მეც გარეთ გამოვედი და უფრო ვრცლად გავაცანი ხალხს თუ რა მოიმოქმედა შაქრო ნიბლაძემ ჩუმლაყის სანერგეში და თუ რატომ არ უნდა ჩაედინა ეს მას; ამავე დროს მაზრის კომისარი სათითაოთ მაჩვენებდა ნიბლაძის ხელში აღმოჩენილ ჩემ კუთვნილ ოქრო-ვერცხლის ნივთებს და მეც შესაფერი დამამტკიცებელი საბუთებით ვამტკიცებდი ჩემ კუთვნილებას. (დიდი დამტკიცება არც უნდოდა, რადგან ზოგზე ჩემი სახელი და გვარი ეწერა, ზოგზე დედაჩემის, ზოგზე ჩემი მეუღლის სურათი იყო და ზოგზე კიდევ ჩემი დის და უფროსი ვაჟის). ამ რიგათ, ნიბლაძეს აღმოაჩნდა ჩემი 20 ნივთი ოქრო ვერცხლისა, აგრეთვე 1600 მ. სახაზინო სანერგის ფული, რაც უკვე შეტანილია რაიონის კომისრის ოქმში. ჩემი სიტყვაგანმარტების შემდეგ, ისედაც ნიბლაძეზე აღელვებულ ხალხს, უფრო აღელვება დაეტყო. ერთხმათ მოითხოვდნენ ადგილობრივ თვითგასამართლებას, მაგრამ მაზრის კომისრის დროს შესაფერ სიტყვამ, რომ დამნაშავე შესაფერ სასჯელს მიიღებდა, ხალხი დააწყნარა. დასასრულ დიდ მადლობას ვუცხადებ მაზრის მთელ მთავრობის შემადგენლობას, განსაკუთრებით კი გურჯაანის რაიონის კომისარს მ. ციციშვილს, მის მილიციონერებს, აფიცერ ჩოლოყაშვილს და მის ცხენოსან ჯარისკაცებს, ბოროტ-მოქმედის აღმოჩენის მხურვალე მონაწილეობაში, აგრეთვე ნაცნობ-მეგობრებს და ხალხს თანაგრძნობისათვის.

ჩუმლაყის სანერგის გამგე კოტე ნაკაშიძე.

---

**ქვემო-ჭალის რაიონი** (ქართლი). ამას წინეთ ქვემო ჭალის რაიონი დიდ უმუშევრობას განიცდიდა. მას უეჭველია უნდოდა რაიმეს გაკეთება, მაგრამ ვერაფერს ბედავდა პასუხისმგებელი ხელმძღვანელ პროპაგანდისტის უყოლელობის გამო. ბევრი რამ გადიტანა რაიონმა შარშან ოქტომბრის პირველ რიცხვებს აქეთ და შეეძლო ამ ბევრი რამის გადატანა. აგვისტოს პირველ რიცხვებს აქეთ ჩვენს რაიონში პროპაგანდისტად არის ამხ. ნ. კაციაშვილი. მთავარი ცდა ამხ. კაციაშვილისა და მის გვერდში მდგომი აქაური რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის შემადგენლობისა მიმართული იყო გვარდიის შედგენისაკენ, რაც დიდს დაბრკოლებებს იწვევდა, მაგრამ მაინც შესდგა იგი 75—80 კაცისაგან და არსებობს. ამასთან ერთად სწარმოებდა პარტიული მუშაობაც.

სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დანიშნულმა მასწავლებელმა გ. ჯანიევმა და ადგილობრივმა მოწინავე წრემ კარგა ხანი მოანდომა ამ შკოლაში ბავშვების შეკრების და სწავლის დაწყების ცდას. ეს რაღაცა სიძნელეს წარმოადგენდა ერთის შეხედულებით, მაგრამ უკანასკნელმა 17 და 18 ოქტომბრის ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამავე მასწავლებელმა და მე ჩამოვიარეთ 17 მარტს, ს. ქვემო ჭალის გამოღმა ნაწილი კარდაკარ და ჩამოვსწერეთ 103 ბავშვი, ხოლო 18-ში კი გაღმა ნაწილი 80-მდე, 18 დილით ორმოცი უკვე მოვიდა, ხოლო 19-ისთვის და უფრო 21-ისთვის მშობლებმა ალგვითქვეს ყველას გამოგზავნა. მშობლები უმეტესად სჩივიან ბავშვების უკიდურეს სიტიტვლეზე, გაღმა ნაწილი კი მდინარე ლიახურის მხრივ ბავშვების უხერხულ მდგომარეობაზედაც და გამოსთქვამენ მათ მხარეზე სკოლის განყოფილების დაარსების სურვილს. ორივე მხრივი ტკივილების დასაკმაყოფილებელ შუამდგომლობის აღძრვას შეჰპირდა მასწავლებელი და თუ მართლა ეს შესრულებულ იქნა, მაშინ ბავშვებს პარტერი მეთხედსაც ძლივს ეყოფა, რადგან აქ ჯერ არ არის ჩამოწერილი გარეშე სამაზრო სოფლების მოწაფენი გარდა საკორინთლოსი და მისი მეზობელ სოფლებისა, რომლებიც ფიქრობენ სკოლის დაარსებას საკორინთლოში. ორივესთვის სასკოლე შენობები მოიპოვება, მით უმეტეს ჭალის გაღმა ნაწილში სახეში აქვთ მოქ. დავით ეგაძის სახლი, თავისი ეზო მიდამოთი, რომელშიც არავინ სცხოვრობს და ხდება უპატრონობით. ეს სახლი მოითხოვს ცოტა შეკეთებას და რომ შეკეთდეს და შემოიზღუდოს, აქ სკოლის მოთავსება ძალიან შესაფერისია და მის ეზო-მიდამოშიც სკოლას შეეძლება კულტურული ნაყოფიერების განვითარებაც. ამ სახლის მეზობლად არის ერთი პირველ ხარისხოვანი სახლიც, თავისი კარგად შემოზღუდული ნამყენი ვაზის ვენახით ირგვლივ, რომელიც ეკუთვნოდა ამილახვარს და არც არავინ ცხოვრობს აქ და უბინის საქონელი კი გულის საკლავად აოხრებს ამ კულტურულ განძს. იმედია, ამ ჟამად ქვემო ჭალის სკოლა შეუდგება მეცადინეობას ჯერ ორი უკვე მოსული მასწავლებლით.

ალ. ფრუიძე.

# წერილები რედ. მიმართ

„სახ. საქმე"-ს 360 №-ში მოთავსებულია ქ. რაჭველიშვილის წერილი: „საქართველოს პარლამენტი". ავტორი თავის პატარა წერილში ბევრ საყურადღებო კითხვებს ეხება და აღნიშნავს, რომ ხშირათ პარტიის კაცის ინტერესებს ეწირება საერთო საქმე. და თურმე ნუ იტყვით, ეს ხდება სოციალ დემოკრატიულ პარტიაში. „ასე მოხდა—განაგრძობს ავტორი—მაგალითად გორის მაზრაში, სადაც ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი კომისარი ფულის გაფლანგვისათვის პარტიიდან გამორიცხეს და ეს იკმარეს." უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიიდგან გამორიცხვა, ჩვენ არც ისე პატარა სასჯელათ მიგვაჩნია, როგორც ამას, ბ. რაჭველიშვილი ფიქრობს. პირიქით, დანაშაულობისათვის ამა თუ იმ პირის პარტიიდან გამორიცხვა მოასწავებს მის მორალურ სიკვდილს და ეს კი, ჩვენის აზრით ძალიან დიდი სასჯელია. ამ მხრივ სწორედ სოც. დემ. პარტია იჩენს სიფხიზლის და მოურიდებლათ სჯის პარტიის წევრებს, როცა მათ ცუდ საქმეში დაიჭერს. რაც შეეხება იმას, თითქო გორის მაზრაში ფულის გაფლანგვისათვის ვიღაც კომისარი მხოლოდ პარტიიდან გამოერიცხოთ და სხვა არაფერი, ვაცხადებთ, რომ ეს არის სიმართლე. არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ რომელიმე მოხელეს სამსახურის დროს ასეთი მძიმე დანაშაული ჩაედინოს, ჩვენ ამისი საკმაო საბუთები გვქონდეს და იგი გადავეცით თავისუფლებიოს პასუხის გებისაგან ხდება კი ისე, რომ ხშირათ ამა თუ იმ პირს, როგორც პარტიის წევრს, პარტია თავისთავათ სჯის და მთავრობა კიდევ ცალკე. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე პირი ორ სასჯელს იღებს. ეს შეიძლება ერთნაირი უსამართლობა იყოს, მარა ასე კი ხდება. ამიტომ, ჩვენ გვიკვირს რათ დასჭირდა ბ. რაჭველიშვილს მკითხველების შეცდომაში შეყვანა. ასეთი ცნობები ხალხს გულს უცრუებს და უკარგავს ნდობას მთავრობისადმი.

გორის მაზრის კომისარი ვ. ქარცივაძე.

# ანგარიში

**ჭიათურის ს. დ. კოლექტივისა 1917 წ. ოქტ. 1-დან ვიდრე 1918 წ. ოქტომბრის 1-მდე.**

შემოსავალი.

1917 წ. ოქტომბრის 1-ლს კასაში დარჩა 3494 მ. 84 კ., კოლექტივის მიერ გამართულ საღამოდან 5953 მ. 55 კ., საწევრო გადასახადი შემოვიდა 1128 მან. 22 კ., პარტიაში შემოსასვლელი 103 მ. კაკი წერეთლის ლექციაზე ბილეთები გაიყიდა 1144 მ. ხელის მოწერით შემოვიდა 1231 მ. ქუთაისის კომიტეტიდან პროპაგანდ. დასაქირავებ. 1000 მ. შემოწირულება 111 მ. 60 კ. ჭიათურის კომიტეტს სესხათ 150 მან. მ. ს. შემოვიდა 26 მ. 67 კ. ჯამი 14342 მ. 88 კ.

გასავალი:

ჯამაგირები პროფეს. მუშაკებს 1955 მან. 83 კ. დარაჯებს 205 მ. ჭიათურის სოც. დემ. კომიტ. გადაეცა 50 პროც. 1530 მან. 60 კ. წიგნები ბიუროში 400 მან. ერობის არჩევნებზე გაწეული ხარჯები 713 მ. 19 კ. საოლქო კომიტეტს გადაეცა 30 პროც. 66 მ. 50 კ. დელეგატებს სამგზავრო საოლქო სიეზდზე 145 მ. 35 კ. სოფლად მომუშავე პროპაგანდისტებს სამგზ. 235 მ. 60 კ. გათბობა და განათება 174 მ. 11 კ. ბინის ქირა 103 მ. 37 კ. საკანცელარიო ხარჯები 30 მ. 30 კ. წვრილი ხარჯები 32 მან. 72 კ. გაზეთის 41 მ. 75 კ. აგენტს დახმარება გაზეთის გასავრცელებლათ 100 მ. ქალაქის არჩევნებზე ბიულეტენები 80 მან. გასესხებული 29 მ. 40 კ. ლექციაზე გაწეული ხარჯები 65 მ. დახმარება სტუდ. ჯავახიშვილს 150 მან. ფოსტა დეპეშები 3 მ. 55 კ. ინვენტარი 28 მ. 32 კ. ჯამი 6090 მან. 69 კ.

დარჩა კასაში 1 ოქტომბრ. 8252 მ. 19 კაპ. სულ 14342 მ. 88 კ.

**1918 წ. ოქტ. 1 მდე კოლექ. ქონება:** კასაში ნაღდათ 8252 მ. 19 კ. წიგნები 400 მ. გასესხებული 29 მ. 40 კ. ინვენტარი 28 მ. 32 კ. სულ 8709 მ 91 კ. გამოაკლდება ნასესხები კომიტ. 150 მ. ჯამი ქონებისა 8559 მ. 91 კ.

**ჭიათურის კომიტეტის ს.-დ. მ. პარტიისა 1917 წ. ნოემბრის 1-დან ვიდრე 1918 წ. ნოემ. 1 მდე.**

შემოსავალი:

ჭიათურის კოლექტივმა გადმოსცა კომიტეტს 50 პროც: 1446 მ. 39 კ. დამფუძნებელი კრების ფონდის გასაძლიერებლათ 3530 მ. 40 კ. ჭიათურის კოლექტივმა გადმოსცა კომიტეტს 30 პროცენ. 242 მ. 31 კ. ელექტრო-თეატრის ბილეთები გაიყიდა 1221 მ. 70 კ. სხვადასხვა შემოსავალი მ. ს. 50 მ. 18 კაპ. 6490 მ. 98 კ.

გასავალი:

ჯამაგირები პროფესიონალ მუშაკებს 2395 მ. 83 კ. ჯამაგირი დარაჯს ბიუროში 203 მ. 33 კ. საოლქო კომიტეტს გადაეცა პროცენტები 986 მ. 85 კ. სოფლად მომუშავეებს დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლათ სახარჯოთ 1284 მ. 20 კ. დელეგატების სამგზავრო 330 მ. გასესხებული 150 მან. გათბობა და განათება 167 მ. 30 კაპ. დახმარება აგენტს გაზეთის გასავრცელებლათ 100 მ. გვირგვინის ფასათ ლ. დადიშ. გარდაცვალ. 60 მ. დახმარება მოწაფეების დელეგატს 70 მ. საკანცელარიო ხარჯები 44 მ. 14 კ. ბინის ქირა 51 მ. 72 კ. გაზეთების გამოწერა 35 მ. 90 კ. ფოსტა დეპეშები 30 მ. 5 კ. წვრილი ხარჯები 31 მ. 81 კ. ინვენტარი 9 მან. 50 კ. ჯამი 5950 მ. 63 კ. კასაში დარჩა 1 ოქტომბ. 540 მ. 35 კ. სულ 6490 მ. 98 კ. კასაში 540 მ. 36 კ. გასესხებული 150 მ. ინვენტარი 9 მ. 50 კ. კომიტეტის ქონება 699 მ. 85 კ.

# განცხადებანი


**ბაქოდან** ჩამოსულ მატარებელზე, რომლითაც მოვიდნენ იქაური ქართველები, დამრჩა ნივთები—კალათა და ყუთი. ეს ნივთები გაჰყვა თფილისიდან დასავლეთ საქართველოსკენ გაგზავნილ ვაგონს. თუ ვინმე რაიმეს გაიგებს ამ ნივთების შესახებ ან იპოვის მას, ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: სად. ძირულა, ამბროსი ებანოიძეს.

11 ოქტომბერს თფ. სადგურზე **დავკარგე** უვადო „პასპორტი" და სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა. მნახველს ვსთხოვ გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: 2 რე ბაბ ნკის ქ. (11 სამილ. უბანი) სახლი ნადირაძისა. იოსებ მახარაშვილს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.

**მიხეილის კერძო სამკურნალო.**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვებით 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და ბავშვთა 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

**მედ. დოქტ. ა. გ. შიუკაშვილი** [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა [illegible] სიფილისის წამლობა [illegible] დილით 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**კბილის საექიმო კაბინეთები თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელ წიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ძ. ხ ო ნ ი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქირო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქ. № 5[illegible] [illegible] სახ. [illegible] ტელ. № 5—7[illegible]

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] თოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.


პარასკევს, 1 ლ ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე მუშათა საზაფხულო კლუბში (მიხეილის ქ. № 65) დანიშნულია ჟურ. „პირველი ნაბიჯის" ჯგუფის თანამოაზრე მოწინავე მუშათა

## ფართო კრება

ვსთხოვთ ამხანაგებს ამ კრებას აუცილებლათ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ. კრებ. მომწ. კომისია.


**საჭიროა** საბეჭდავ მანქანაზე მომუშავე
კარგათ მცოდნე რუსულ და ქართულ ენებისა.
ჯამაგირი თვეში 525 მანეთი. გამოცდა დანიშნულია 6 ნოემბერს.
მისამართი: ელისაბედის ქ. № 200, რკინის გზის კავშირის ცენტრ. გამგეობა.